

პიერ ბურდიე – ენტონი გიდენსი – ნიკლას ლუმანი

„HABITUS” „სტრუქტურაცია” „თვითრეფლექსია”

1. პ. ბურდიეს სოციოლოგიის ძირითადი პრინციპები
  - 1.1 პიერ ბურდიე პიროვნება და მეცნიერი
  - 1.2 სოციალური სინამდვილე, როგორც სოციალური სივრცე
  - 1.3 „HABITUS”-ის ცნება და მისი ნიშნები
  - 1.4 სოციალური და პოლიტიკური ველი.
2. ენტონი გიდენსის სოციოლოგიის ძირითადი პრინციპები. სტრუქტურაციის თეორია.
  - 2.1 ე. გიდენსი პიროვნება და მეცნიერი.
  - 2.2 სოციალური “პრაქსისის” ცნება.
  - 2.3 სტრუქტურა და “სტრუქტურის დუალობა
  - 2.4 აგენტის სტრატეგიკაციული მოდელი
  - 2.5 სუბიექტურობის დონეები
3. ნიკლას ლუმანის (8.12.1927 - 6.11.1998) სოციოლოგიის ძირითადი პრინციპები.
  - 3.1 ნიკლას ლუმანი პიროვნება და მეცნიერი
  - 3.2 სოციოლოგიის კრიზისი და სამი ეტაპი სისტემური ანალიზის განვითარებაში. საზოგადოების ცნება
  - 3.3 ლუმანი და პარსონსი
  - 3.4 საზოგადოება როგორც “აუტოპოეზისური” სისტემა
  - 3.5 კომუნიკაცია

შ ე ს ა ვ ა ლ ი

სოციოლოგიურ თეორიაში სინთეზის ტენდენციები, რომლებიც სათავეს მეოცე საუკუნის სამოციან წლებიდან იღებს, დღესაც წარმატებით ვითარდება და მადომინირებულიც კი ხდება. მაგრამ რაც უფრო ძლიერია გამაერთიანებელი მისწრაფებები, მითუ უფრო მეტ პრობლემებს ბადებენ მათი განმხორციელებელი კონცეფციები. ერთიანობიდან ჯერ კიდევ ისე შორსა ვართ როგორც როგორც ადრე. პარადოქსალურია, მაგრამ ერთიანობის მომხრეები თანაბრად არიან ერთმანეთისაგან შორს. ისინი აღიარებენ საზოგადოებაზე „სტრუქტურული” და „მოქმედების” თვალსაზრისებს შორის განსხვავებას და იმ წინააღმდეგობების გადალახვის აუცილებლობას, რომელიც „პოლისტური” ან „ინდივიდუალური” პერსპექტივების არჩევისას წარმოიქმნებიან, მაგრამ ვერ თანხმდებიან თუ როგორ უნდა მოხდეს საზოგადოების შესახებ ამ დაპირისპირებულ მიდგომათა გაერთიანება. როგორც ჩანს ეს უთანხმოებანი უფრო ფუნდამენტალური დონისაა და მხოლოდ „ფაქტების” ახსნასა და ინტერპრეტაციას არ უკავშირდება, თორემ ისინი ადვილად გადაილახებოდნენ დამატებითი ემპირიული შემოწმების გზით.

უთანხმოებათა გადალახვის ცდები ისეთი საკვანძო ცნებების ხელახალი გააზრების აუცილებლობას ბადებენ, როგორებიცაა: **მოქმედება, სტრუქტურა, სისტემა** და ა.შ. ცნობიერების მზარდი რაციონალურობისა და რეფლექსურობის კონსტატაცია მრავალი ავტორისათვის ამოსავალია. მაგრამ ამას რაციონალურობისა და რეფლექსურობის ხელახალი განსაზღვრების აუცილებლობასთან მიუყვართ, რაც კიდევ უფრო პრობლემატურს ხდის ერთიანობას. სუბიექტურ-ობიექტურ შეხედულებათა შორის უფსკრულის გადალახვაზე მიმართულია: **პ.ბურდიეს, „HABITUS“-ი, ეგიდენსის „სტრუქტურაცია“** და **ნ. ლუმანის „თვითრეფერენცია – თვითაღწერა“**.

### **პ. ბურდიეს სოციოლოგიის ძირითადი პრინციპები**

1. **პიერ ბურდიე პიროვნება და მეცნიერი.** პიერ ბურდიე (Burdieu) დაიბადა 1930 წელს. ფრანგი სოციოლოგია, ორიგინალური კონცეფციის ავტორი, რომელიც განიხილავს სოციოლოგოს მეტათეორიულ საფუძვლებს. 1955 წელს დაამთავრა უმაღლესი პედაგოგიური სკოლა, მას ალთიუსერი და მ. ფუკო ასაწავლიდნენ, ასწავლიდა ფილოსოფიის კურსს ქ. მულენის ლიცეუმში. 1958 წელს წავიდა ალჟირში. პირველი გამოქვეყნებული შრომებია: „ალჟირის სოციოლოგია“ (1961), „შრომა და მშრომელები ალჟირში“ (1964) და სხვები 1964 წლიდან პარიზშია, არის უმაღლესი კვლევითი სკოლის დირექტორ-მკვლევარი. 1975 წელს დააფუძნა და სათავეში ჩაუდგა ევროპული სოციოლოგიის ცენტრს, აგრეთვე დაარსა ჟურნალი „მეცნიერული შრომები სოციოლოგიურ მეცნიერებაში“. 1981 წლიდან საფრანგეთის აკადემიის ნამდვილი წევრია. არის კოლეჟ დე ფრანსის სოციოლოგიის კათედრის გამგე. მისი ძირითადი შრომებია: „კვლავწარმოება“ (1970), „სიმბოლური ფორმების სოციოლოგია“ (1970), „მარტინ ჰაიდელბერგის პოლიტიკური ონტოლოგია“ (1976), „განსხვავებები“ (1979), „სოციოლოგიის საკთხები“ (1980), პრაქტიკული საზრისი“ (1980), „გაკვეთილი გაკვეთილის შესახებ“, „Homo academicus“, „საწყისები“ (1987), „პასუხები“ (1992) „ხელოვნების წესები“ (1993) და სხვა.

პ. ბურდიეს შეხედულებათა კრიტიკული ხასიათი განისაზღვრება მისი მისწრაფებით შექმნას სოციალური პრაქტიკის თეორია, რომელიც შორს იქნება რაციონალური მოქმედების წესებისა და ნორმების ძიებისგან, და ამავდროულად გადალახავს სოციოლოგიისათვის ტრადიციული რეალიზმის და ნომინალიზმის, ობიექტივიზმისა და სუბიექტივიზმის ოპოზიციებს. ბურდიეს მეთოდი მბადი (გენეტიკური) სტრუქტურალიზმია; სოციოლოგიური რეალობა გაგებულია როგორც ურთიერთობა - დამოკიდებულებათა ანსამბლი, როგორც სოციალურ პოზიციათა სივრცე. სოციალური სივრცე მრავალგანზომილებიანია, სხვადასხვა სახის კაპიტალის (ეკონომიკურის, კულტურულის, სიმბოლურის) განაწილების საფუძველზე სტრუქტურირდება, რომლებიც სოციალური სივრცის შიგნით როგორც ბრძოლის მიზნები და ინსტრუმენტები გვევლინებიან. სოციალური დანაწილება ამავე დროს ფუნქციონირებს როგორც ხედვის პრინციპი, როგორც აღქმისა და შეფასების კატეგორია, ე. ი. როგორც მენტალური სტრუქტურა, რომელიც ამავე დროს უმეტესწილად სოციალური სივრცის ობიექტური სტრუქტურების ინკორპორირების პროდუქტია. აგენტისათვის ეს ნიშნავს „Habitus“-ის – ანუ დისპოზიციების სისტემის ფლობას, რომელიც ერთდროულად აღქმის სქემა და მოქმედების მორგანიზებელია. გამოცდილების შედეგად შექმნილი, დროისა და ადგილის მიხედვით ცვალებადი დისპოზიციები ქმნიან სტრატეგიებს როგორც ორიენტირებულ პრაქტიკებს, რომლებიც ისე აღმოჩნდებიან სიტუაციებზე მორგებულნი, რომ არც მიზნისკენ ცნობიერი მისწრაფების პროდუქტს და არც მექანიკური დეტერმინაციის პროდუქტს

წარმოადგენენ, არამედ პრაქტიკული გრძნობების პროდუქტებად გვევლინებიან. თამაშის გრძნობა არათანაბრად არის განაწილებული საზოგადოებაში, მისი ათვისება ხდება ბავშობიდანვე სოციალურ საქმიანობაში მონაწილეობის და ზოგიერთ ველთან (ეკონომიკურ, პოლიტიკურ, რელიგიურ და ა. შ.) ურთიერთობის შედეგად. სოციალური ველი თავისი ინსტიტუტებით და ფუნქციონირების ლოგიკით თამაშის ისტორიულად ჩამოყალიბებული, შედარებით ავტონომიური სივრცეა. მოქმედება, რომელიც აღნიშნავს ერთმანეთის შესატყვისი „ჰაბიტუსისა“ და ველის შეხვედრის მომენტს, მხედველობაში იღებს სოციალურ სივრცეში ჰორიზონტისადმი კუთვნილი ადექვატური თვისებების ერთობლიობას, ამოდის რა იმისგან თუ როგორი სტრუქტურის წარმოება არის საჭირო. მნიშვნელოვან სტრატეგიათა უმრავლესობა კოლექტიურ გადაწყვეტილებათა პროდუქტია, რომელიც ოჯახის ან კლასის კოლექტიურ ისტორიას მოიცავს, ამიტომ ისინი აწარმოებენ (ქმნიან) არა მხოლოდ ინდივიდუალურ პოზიციებს, არამედ სოციალურ ჯგუფებსაც. საზოგადოებაში მორფოლოგიური ცვლილების გასაგებად საჭიროა იმ სიმბოლურ სტრუქტურათა მახასიათებლის გათვალისწინება, რომელიც წესრიგის და ლეგატიმაციის ძალაუფლებას თუ უფლებამოსილებას ფლობს. სოციალური დაყოფები თუ კლასიფიკაციები განათლების სისტემის მეშვეობით ტრანსლირდებიან (გადაიცემიან) და არსებითად ბატონობის ფორმებს წარმოადგენენ. სხვადასხვა აგენტები, მათ შორის სოციოლოგია როგორც მეცნიერება, ლეგიტიმური ნომინაციის მონოპოლიის მოპოვებისათვის ბრძოლაში მონაწილეობენ. სოციოლოგიის სოციოლოგიური კრიტიკა ან სოციოლოგიის სოციოლოგია ააშკარავებს სოციოლოგიური წარმოების ველის შიგნით ჩამოყალიბებულ დამოკიდებულებებს და გვემსახურებიან იმ ზოგადი შეხედულებებისაგან ანუ იმ პოლიტიკური კატეგორიებისაგან განთავისუფლების ინსტრუმენტად, რომლებიც სიმბოლურ ძალადობას ახორციელებენ. ამგვარი კრიტიკა სხვა ველებისათვისაც აუცილებელია.

ამგვარად, პ. ბურდიე გვევლინება მოაზროვნედ, რომლისთვისაც სოციოლოგიის თეორიული და ემპირიული დონეები ერთმანეთისაგან განუყოფელია. მათი კავშირი იმას კა არ ნიშნავს, რომ ემპირიული დონე მონაცემებს აწვდის თეორიულს, ხოლო თეორიული თავის მხრივ თავაზობს „სქემებს“ ამ მონაცემთა ახსნა-გაანალიზებისათვის. ბურდიე შრომის ამგვარი დანაწილების თვით შესაძლებლობასაც კი აბსურდს უწოდებს. მისი აზრით, გამოკვლევაში მთავარი „თავად დაკვირვებაზე დაკვირვების სიტუაციით“ წარმოებული ცვლილებების დაფიქსირებაა. ამიტომ თითოეული მისი შრომა არის არა უბრალოდ რეალობის რომელიმე განსაზღვრული სფეროს ანალიზი, არამედ იმ სფეროთა „სოციოლოგიის სოციოლოგიაა“. პ. ბურდიე ხშირად აანალიზებს სოციოლოგიის ონტოლოგიურ, გნოსეოლოგიურ და სოციალურ სტატუსს. იგი უარყოფს სოციოლოგიის მიერ რომელიღაც „ზერეფლექსური“ პოზიციის დაჭერის შესაძლებლობას, რომლებიც საშუალებას მისცემს მას „ობიექტური“ თვალსაზრისით იმსჯელოს რეალობის შესახებ. „დამკვირვებელი“ ბურდიეს აზრით, შეუძლებელია განცალკევებულ იქნას სიტუაციისგან, იგი ჩართულია მასში, მისი ინტერესები მუდამ ჩაშენებულია იმ სინამდვილეში, რომელსაც სწავლობს. ამგვარი კრიტიკული და შეიძლება ითქვას დიალექტიკური პოზიცია სოციოლოგიური გამოკვლევების დანიშნულების შესახებ თავისებურ დაღს ასვამს პ. ბურდიეს მიერ შემოთავაზებული „საზოგადოების სახესაც“.

**2. სოციალური სინამდვილე, როგორც სოციალური სივრცე.** სოციალური სინამდვილე პ. ბურდიეს აზრით, სოციალურ სივრცეს წარმოადგენს. თავისთავად ეს ცნება ახალი რამ არ არის, საკმარისია გავიხსენოთ პ. სოროკინი. ბურდიესეული მიდგომის სიახლე სოციოლოგიური და ფიზიკურ სივრცეთა

შორის დამოკიდებულების განსაზღვრაში, აგრეთვე სოციალური სივრცის შინაგანი წყობის აღწერაში მდგომარეობს. ფიზიკური სივრცე მჭიდროდაა დაკავშირებული სოციალურ სივრცესთან, იგი არის მისი ასახვა, სოციალური სივრცის გარეთ გამოხატვა-გამოთქმაა. აღქმაში ისინი ძნელად თუ განირჩევიან ერთმანეთისაგან. **სოციალური სივრცე** - ესაა არა კორდინატთა რაღაც მოცემული სისტემა, რომელშიც განლაგებულია სოციალური სუბიექტები არამედ ესაა ამავდროს რეალურ სივრცეში ამ სუბიექტთა განლაგებაც. სოციალურ სივრცეში სუბიექტებს შორის დისტანცია არა მხოლოდ სოციალურია, არამედ ფიზიკურიც. სოციალურ და ფიზიკურ სივრცეთა ამგვარი მჭიდრო გადახლართვა თუ ურთიერთკავშირი მაინც არ ნიშნავს და გულისხმობს მათი დამოკიდებულება – მიმართულების ერთმნიშვნელობას. ადამიანთა წინაშე სოციალური სივრცე ერთდროულად წარმოდგება თავისი „სიმბოლური“ და „ფიზიკური“ განზომილებების ერთობლიობაში. ისინი ერთმანეთს ზედდებიან და ურთიერთს გადაკვეთენ. მათი განცალკევება მხოლოდ ანალიტიკურად არის შესაძლებელი, რამდენადაც სიმბოლური („წმინდა სოციალური“) სივრცის ერთი და იგივე „ჭრილი“ საგნებით შესაძლებელია ფიზიკური სივრცის ერთმანეთისაგან განსხვავებულ (და ხშირად დაშორებულ) ადგილებში იქნას წარმოდგენილი და პირიქით, სოციალური სივრცის დაშორებული ნაწილები თუ ნაკვეთები შეიძლება ძალიან ახლოს იყვნენ ფიზიკური აზრით.

**სოციალური სივრცის ორმაგობა**, ანუ მისი ერთდროულად როგორც „წმინდა სოციალური, ისე ფიზიკური პლანით წარმომადგენლობა, გულისხმობს სოციალური უნივერსუმის მათრგანიზებულ სტრუქტურათა ორმაგობას. სოციალური სტრუქტურები ერთდროულად არსებობენ როგორც რეალობა, რომელიც მოცემულია სოციალურად პრესტიჟული დოვლათების (სიკეთეთა) და ფასეულობების მითვისების მატერიალური რესურსებისა და საშუალებების განაწილების გზითა და მეოხებით – და როგორც რაღაცა, რომელიც არსებობს წარმოდგენებში, აზროვნებისა და მოქმედების სქემაში. სოციალურ სტრუქტურათა ორმაგობის გამოხატულებაა სოციალური სივრცის პოზიციებისა და დისპოზიციებს შორის არსებული განსხვავება.

**პოზიცია** ასახავს ინდივიდის რეალურ ადგილს სოციალურ სივრცეში, **დისპოზიცია** კი – მის წარმოდგენას თავის მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე მოქმედების, აზროვნებისა და შეფასების სქემებს. პოზიციების ერთობლიობა ასახავს სოციალურ სივრცის ობიექტურ ჭრილს, მაშინ როდესაც დისპოზიციათა ერთობლიობა მის სუბიექტურ მხარეს აღნიშნავს. ამგვარად, სოციალური სივრცე შეიძლება განხილული იქნას არა მხოლოდ როგორც სიმბოლურისა და ფიზიკურის დიალექტიკა, არამედ პოზიციისა და დისპოზიციის სივრცეთა დიალექტიკაც. ე. ი. გარკვეული ადგილის მქონე ინდივიდთა და მათი პრაქტიკების დიალექტიკა, პრაქტიკებისა, რომელთა მეშვეობითაც აგენტები აწესრიგებენ და გარდაქმნიან ამ სივრცეს. უნდა შევნიშნოთ რომ, რომ პრაქტიკები, რომლებიც ავსებენ ინდივიდებს შორის არსებულ სივრცეს, არ წარმოდგენენ არც ინსტიტუტიციურებულ შესაძლებლობათა რაციონალური არჩევნის ( ტ. პარსონსის ტერმინოლოგიით) სინონიმს და არც ინდივიდის სუბიექტური თვითნებობის ( ლიბერალური წარმოდგენით) სინონიმს. **პრაქტიკა – ეს უფრო ინდივიდის გაუცნობიერებული, ვიდრე გაცნობიერებული ქცევაა, რომელიც ემორჩილება გარემოდან ინტერნალიზირებულ წესებს ამ გარემოსთან აქტიური ურთიერთქმედების პროცესში, იგი ა. შუტცის პრაქტიკული ცნობიერების და ჰ. გარფინკელის პრაქტიკული მოქმედების მსგავსია.**

**3. „HABITUS“-ის ცნება და მისი ნიშნები.** სოციუმის – გაგებული როგორც სოციალური სივრცე – ორმაგობის გადალახვის საშუალებად გვევლინება HABITUS“-ის ცნება. ბურდიე წერს: „თავიდან უნდა ავიცილოთ სტრუქტურის

რეალობა, რომლისკენაც გარდუვლად მივყავართ ობიექტივიზმს. პირველადი (გრძნობადი) გამოცდილებისაგან მოწყვეტის და ობიექტური ურთიერთობების კონსტრუირების აუცილებელი სტადიის გამო, ობიექტივიზმი მიდის ამ ურთიერთობების გაფეტიშებად განიხილავს მათ როგორც ჯგუფის ისტორიის ფარგლებს გარეთ წარმოქმნილ და მოწესრიგებულ რეალობას. ასევე არ შეიძლება ჩავარდეთ სუბიექტივიზმში, რომელსაც არ ძალუძს სოციალური კანონზომიერების ახსნა. ამისათვის საჭიროა დავუბრუნდეთ პრაქტიკას, *opus operatum*-ისა და *modus operandis*-ის დიალექტიკას, ისტორიული პრაქტიკის ობიექტივირებულ და ინკორპორებულ პროდუქტებს; სტრუქტურებს და „*HABITUS*“-ებს. ამგვარად „*HABITUS*“-ის ცნება ბურდიეს შემოაქვს სოციალური სამყაროს მოწესრიგებულობის, მისი კვლავ წარმოებულობის ისტორიული ვრცეულობისა (განფენილობის) და ცვალებადობის ასახსნელად. **HABITUS**-ი ერთდროულად არის როგორც სოციალურ პირობათა (ობიექტივირებულ წინამორბედ პრაქტიკათა) პროდუქტი ისე საშუალება რომელიც მართავს ადამიანის ქმედებებს ყოფით-ყოველდღიურ სიტუაციებში, საშუალება, რომელიც ცვლის და კვლავ აწესრიგებს გარემომცველ პირობებს. (პრაქტიკათა ობიექტივირების საშუალება). ჰაბიტუსი არის „მყარი, შექმნილი განწყობა მიდრეკილებების (დისპოზიციების), სტრუქტურირებული სტრუქტურების სისტემა, რომელიც გათვალისწინებულია მასტრუქტურიზებულ სტრუქტურათა სახით ფუნქციონირებისათვის.“

ბურდიეს აზრით „*HABITUS*“- წარმოადგენს კოგნიტურ და მოტივაციურ სისტემათა სტრუქტურას; ნამდვილად არსებულ ისტორიულ პირობათა პროდუქტს. ამ აზრით იგი ობიექტურია-ინდივიდისაგან განსხვავებულია და მის „გარეთ“ იმყოფება. მაგრამ ამავე დროს ის ინკორპორირებულია ინდივიდის ცნობიერებაში და ამ აზრით იგი-სოციალური მოქმედების აგენტის განუყოფელი ნაწილია. „*HABITUS*“-ი ესაა ინდივიდის მიერ აღქმული, მის ცნობიერებაში ღრმად ფესვგადგმული და „დავიწყებული“ ობიექტური სტრუქტურების ანაბეჭდი, რომელიც მიუდგომელია რაციონალური გააზრებისათვის. **“HABITUS”-ი კონსერვატიულია**, ესწრაფის თავისთავის შენარჩუნება- დაცვას და ამავე დროს განახლების უნარიც აქვს, განახლება კი მისი საკუთარი პრინციპების შესაბამისად იწარმოება. შეიძლება მოგვეჩვენოს რომ მხოლოდ შუამავალია ობიექტური რეალობის მიერ ინდივიდის დეტერმინაციის პროცესში. გარკვეული ზომით ეს სწორია, მაგრამ მხოლოდ რაღაც დონემდე. იგი ასახავს ობიექტურ სტრუქტურებს, მაგრამ ის არ არის მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც აგენტი კვლავწარმოებს თავის პრაქტიკებს. პრაქტიკა გვევლინება „*HABITUS*“-ისა და სხვადასხვა ხდომილებების ურთიერთქმედების პროდუქტი. „*HABITUS*“-ის ფუნქცია მდგომარეობს აგენტის სუბიექტური მისწრაფებების შეზღუდვაში, იგი გვაძლევს საზღვრებს, რომელშიც აგენტი მოქმედებს და კვლავწარმოებს რუტინულ „არაპრობლემატურ“ მოქმედებებს. ამგვარად, შეგვიძლია გამოვყოთ „*HABITUS*“-ის რამდენიმე დამახასიათებელი ნიშანი:

1. **ობიექტური სოციალური გარემო ქმნის ჰაბიტუსს** – ანუ „მყარ, შექმნილ, მოპოვებულ წინასწარგანწყობათა სისტემას“, რომელიც შემდეგ ინდივიდების მიერ არსებულ სტრუქტურებში ცვლილებების შეტანის აქტიური უნარის სახით გამოიყენება, როგორც ამოსავალი განწყობები, რომლებიც ბადებენ და ორგანიზებენ უკეთებენ ინდივიდთა პრაქტიკებს. როგორც წესი, ეს წინასწარი განწყობები არ გულისხმობენ განსაზღვრული წესის მიღწევაზე შეგნებულ-გაცნობიერებულ წარმართულობას, ვინაიდან ხანგრძლივი დროის მანძილზე ისინი შესაძლებლობითა და შეუძლებლობით, აუცილებლობითა და თავისუფლებით, უფლებებითა და აკრძალვით ყალიბდებიან. ბუნებრივია, რომ

კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციაში ადამიანები მათი პრაქტიკისათვის ყველაზე მიუღებელს, შეუძლებელს და დაუჯერებელს გამოირიცხავენ.

2. **ჰაბიტუსი პრინციპულად განსხვავდება მეცნიერული შეფასებისაგან.** თუ მეცნიერება ჩატარებული კვლევის შემდეგ გულისხმობს მონაცემების მუდმივ კორექციას, ჰაბიტუსი დაზუსტებას და ა. შ. მაშინ ადამიანები, ბურდიეს აზრით, ადრეულ გამოცდილებებს არაპროპორციულად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ (აძლევენ). გარკვეული ტიპის ქვეცნობიერებისადმი წინასწარგანწყობათა ინერტულობის ეფექტი ვლინდება იმაში, რომ ადამიანები, რომლებიც კარგად არიან წარსულ რეაქციებს შეგუებული, შეცვლილ ვითარებაში შეუფერებლად და შეუსაბამოდ მოქმედებას იწყებენ, ვერ ამჩნევენ რომ ადრინდელი ძველი პირობები უკვე აღარ არსებობს. მოცემულის საილუსტრაციოდ სოციოლოგიას მოჰყავს „მარქსის საყვარელი – დონ-კიხოტის მაგალითი“. გარემო, რომელშიც რაინდი მოქმედებს, ძალიან განსხვავებულია იმისაგან, რომელშიც იგი ობიექტურად არის ჩართული და შეგუებული. ასეთ დღეში ვართ ახლა ყველა პოსტსაბჭოური ქვეყნის მოსახლეობა, რამეთუ ჩვენი ადამიანების უმრავლესობა წარუმატებლად ცდილობს შეეგუოს ახალ პოლიტიკურ რეალობას, ინდივიდუალურ თავისუფლებებს, მნიშვნელოვანი ზომით სწორედ თავიანთი ჰაბიტუსის გამო, კერძოდ ეს არის სახელმწიფოს, პარტიების, კოლექტივის, ლიდერის, როგორც მამა მარჩენალის „პატერნალისტური“ როლისადმი წინასწარი განწყობები.

3. **ჰაბიტუსი სოციალურ პრაქტიკებში წარსულის, აწმყოს და მომავლის გაერთიანების საშუალებას გვაძლევს.** რასაც არ უნდა გვპირდებოდნენ პოლიტიკოსები და მათი იდეოლოგები – ქვეყნის მომავალი მაინც იქმნება სტრუქტურირებული პრაქტიკების კვლავწარმოების გზით, დამოუკიდებლად იმისგან მოგვწონს თუ არა ისინი ჩვენ დღეს. სწორედ ასე, სტრუქტურალისტურ-კონსტრუქტივისტული პარადიგმის მიხედვით იქმნება ისტორია. **“HABITUS”-ი შენიშნავს ბურდიე – როგორც ისტორიის პროდუქტი, აწარმოებს ინდივიდუალურ და კოლექტიურ პრაქტიკებს – კვლავ ისტორიას – ისტორიისავე მიერ შექმნილი სქემების შესაბამისად.** იგი განაპირობებს წარსული გამოცდილების აქტიურ მყოფობას (არსებობას), რომელიც არსებობს რა ყველა ინდივიდში აქმის, აზრებისა და მოქმედების სქემების ფორმით, უზრუნველყოფს დროში პრაქტიკათა „სისწორეს“ და მათ მუდმივობას უფრო საიმედოდ, ვიდრე ყველა ფორმალური წესი და ექსპლიციტური ნორმა. განწყობა-მიდრეკილებათა სისტემა, ე.ი აწმყოში მყოფი (არსებული) წარსული, ერთსახოვნად სტრუქტურირებული პრაქტიკების კვლავწარმოების გზით მსწრაფი „არის მემკვიდრეობისა და რეგულირების ის პრინციპი, რომელიც სოციალურ პრაქტიკაში შეინიშნება“. (გვ19)

ამგვარად, ჰაბიტუსის კონცეფცია მომავლის პროგნოზირების მეთოდოლოგიურ პრინციპს ---დეტერმინიზმის და თავისუფლების, ცნობიერების და ქვეცნობიერის, ინდივიდისა და საზოგადოების ანტინომიების გადალახვის გზით აფუძნებს. “რამდენადაც ჰაბიტუსი-ი შენიშნავს ბურდიე, აზრების, აქმის, გამოთქმებისა და მოქმედებების წარმოების უსასრულო უნარია-რომლის საზღვრები მისი წარმოების ისტორიული და სოციალური პირობებითაა მოხაზული, ამდენად განპირობებული და პირობითი თავისუფლებაც, რომელსაც იგი წარმოადგენს, ისევე შორსაა არაწინასწარმეტყველვეი ახლისაგან, როგორც პირველადი პირობების მარტივი მექანიკური წვლავწარმოებისაგან. (გვ20)

წარმოდგენები ჰაბიტუსზე “სუბიექტური მოლოდინების “ უფრო ობიექტური კვლევის შესაძლებლობებს გვაძლევენ. ამასთან დაკავშირებით კ., ბურდიე აკრიტიკებს იმ თეორიებს, რომლებიც მხოლოდ “რაციონალურ მოქმედებებს” აღიარებენ. მისი აზრით მოქმედების ხასიათი დამოკიდებულია იმ სპეციფიკურ შანსებზე, რომლებსაც ინდივიდები ფლობენ. ინდივიდუალურ ჰაბიტუსებს შორის

განსხვავება განაპირობებს მათი სოციალური მოთხოვნების თავისებურებებს. ასეთი რამ სიტყვა სიტყვით ვლინდება ჩვენთან ყველაფერში, ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაგ, მიდრეკილება პოლიტიკური საქმიანობისადმი, ლიდერობისადმი დამოკიდებულია პოტენციურ ძალაუფლებრივ შესაძლებლობაზე. ადამიანები თავიანთ მოლოდინებს აყალიბებენ მისაღწევისა და მიუღწევების კონკრეტული ინდიკატორების შესაბამისად, ანუ იმის შესაბამისად რაც “ჩვენთვისაა” და რაც “ჩვენთვის არ არსებობს” რითაც ეგუებიან შესაძლებელ მომავალს, რომელსაც წისასწარტყვრეტენ და მიზნად ისახავენ განახორციელონ.

მაშასადამე პრაქტიკების ახსნა შეუძლებელია, როგორც მხოლოდ იმ დღევანდელი პირობების თვალსაზრისით, რომლებმაც მათი პროვოცირება მოახდინეს, ისე მხოლოდ წარსული პირობების თვალსაზრისით, რომლებშიც ასახულია ჰაბიტუსი. სუბიექტის მოქმედება შეიძლება ახსნილ იქნას მხოლოდ წარსული და დღევანდელი პირობების შეთანადებით, ე.ი სოციალური სამყაროს იმ ორი მდგომარეობის ურთიერთდამოკიდებულების მეცნიერული შესწავლის დახმარებით, რომლებშიც ფარული სახით მოქმედებს ჰაბიტუსი. ამგვარად, ჰაბიტუსი გარკვეულ ავტონომიას აძლევს ინდივიდს, მაგრამ მოქმედების ატომიზაციას და “უწესრიგობას” არ იწვევს.

არსებობის პირობების მსგავსებას მიყვავართ მსგავსი ჰაბიტუსის ჩამოყალიბებასთან, რასაც ბურდიე “ჰომოლოგიურს” უწოდებს. ამიტომაც, რომ მსგავს პირობებში დაბადებულ და აღზრდილ ინდივიდებს ქცევის მსგავსი “მანევრები” აქვთ. თუმცა ეს მსგავსება გარკვეული საზღვრებითაა შეზღუდული. ჰომოლოგია არის მრავალსახეობა ოლონდ ჰომოგენურობის იმ ჩარჩოებში, რომლებიც დამახასიათებელია ჰაბიტუსის წარმოების სოციალური პირობებისათვის. “განწყობა-მიდრეკილებათა ყოველი ინდივიდუალური სისტემა-ესაა სხეების სტრუქტურული ვარიანტი, რომელიც გამოხატავს კლასში ტრაექტორიისა და მდგომარეობის თავისებურებებს. სოციალურ პოზიციათა მსგავსება არასდროს იქნება სრული და საბოლოო, რამდენადაც შეუძლებელია იპოვო ორი პოზიცია, რომლებიც აბსოლუტურად ერთნაირი იქნებოდნენ, ესე იგი სივრცესა და დროში ერთმანეთს დაემთხვეოდნენ. მიუხედავად ამისა ჰაბიტუსის ჰომოლოგიურობა ჯგუფური და კლასობრივი ერთობების წარმოქმნის საფუძველში დევს, რომლებისთვისაც იგი როგორც მასტრუქტირებელი ელემენტი ისე გვევლინება.

#### **4. სოციალური და პოლიტიკური ველი.**

მართალია ზემოთ მოკლედ გავაანალიზეთ სოციალური ველის ცნება, მაგრამ არაფერი გვითქვამს სხვა ველებთან მისი დამოკიდებულების შესახებ. ახლა შეიძლებისდაგვარად მათი ურთიერთობების უფრო დაწვრილებით ანალიზს შევეცდებით. ბურდიე ობიექტური რეალების როლის კვლევას ხომ სოციალური ველის კონცეფციის თანახმად ახორციელებს. ბურდიეს აზრით **სოციალური ველი ესაა ლოგიკურად გააზრებული სტრუქტურა, თავისებური გვარის გარემო რომელშიც სოციალური ურთიერთობები და მიმართებები ხორციელდება.** ამასთანავე სოციალური ველი - ესაა რეალური სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა ინსტიტუტები. მაგ.სახელმწიფო ან პოლიტიკური პარტიაც კი. ამ შემთხვევაში ბურდიეს აინტერესებს არა ინსტიტუციონალური სტრუქტურები თავისთავად, არამედ სხვადასხვა პოზიციების და ინტერესების მქონე მოქმედ ადამიანებს შორის არსებული ობიექტური კავშირები—მათი დაპირისპირება ან თანამშრომლობა ველის სპეციფიკური სარგებლების დაუფლების და უწინარე ყოვლისა ძალაუფლების ეკონომიკური ან ინტელექტუალური რესურსების დომინირებადი პოზიციების დაკავების მიზნით. პირობითად მთელი სოციალური ველი შეიძლება რამდენიმე პოლიტიკის, ეკონომიკის, რელიგიის და ა.შ. ველთა სახით წარმოვიდგინოთ. ბუნებრივია, რომ

კონკრეტული ველი ვერ შეძლებს აგენტთა პრაქტიკის გარეშე არსებობას. ველის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია არა უბრალოდ აგენტთა აქტივობა, არამედ ამ ველის წესების შესაბამისად მოქმედების განწყობაც, მათში გარკვეული ჰაბიტუსის არსებობა რომელიც როგორც ვიცით თავის თავში სოციალიზაციის გამოცდილებებისა და ველის წესების ცოდნასთან ერთად მათი აღიარების მზაობასაც მოიცავს . ეს კი აგრეთვე ნიშნავს იმას რომ ველი აგენტის წინაშე მუდამ არსებულ, მოცემულ რაიმედ წარმოდგება, კონკრეტულ ინდივიდუალურ პრაქტიკას კი შეუძლია ველის მხოლოდ კვლავ წარმოება და გარდაქმნა. მაგ. პოლიტიკურ ველში აგენტთა კონკრეტული მოქმედებები ველს ერთდროულად კიდევაც კვლავაწარმოებენ და გარკვეული ხარისხით სახესაც კი უცვლიან. კვლავ წარმოებული ველი შემდეგ თავის მხრივ გვაძლევს შესაძლებლობებს და საშუალებებს პრაქტიკის ახლებურად მართვისათვის ისე, რომ აგენტთა მოქმედებებს ნორმატიულ მოცემულობებს დავალებებს, მოვაღებებს აძლევს და შემდეგ პროცესი კვლავ და კვლავ მეორდება.

ველის კონცეფცია ბურდიეს საშუალებას აძლევს აგენტის სოციალურ პრაქტიკაში გაითვალისწინოს ცნობიერი და სპონტანური, გამოაცალკევოს მოქმედებათა წარმოქმნა-დაბადების ორი პრინციპულად განსხვავებული მექანიზმი. ერთის მხრივ ველის წესები გულისხმობენ თუნდაც მინიმალურ რაციონალურობას (მიზნების დასახვა, საშუალებების არჩევა, შედეგების გათვლა და ა.შ.), ხოლო, მეორეს მხრივ სპონტანურ ორიენტაციას. ეს იმას ნიშნავს, რომ როდესაც რაციონალურად დასაბუთებულ პროექტებს ვაყენებთ და აგრეთვე რაციონალურად აქტიურობას ვცდილობთ, როგორც ველის რეალური შესაძლებლობების, ისე ქვეყნის მოსახლეობის ჰაბიტუსის გათვალისწინებაც აუცილებელია.

სოციალური ცხოვრების ამა თუ იმ ველის თავისებურებათა პრიზმაში წარმოდგენა საკმაოდ ეფექტური ინსტრუმენტია რეალური დაპირისპირებისა თუ ბრძოლების გასაანალიზებლად. ველი კონკრეტულ სოციალურ პრაქტიკებში გამოხატულ ყველაზე განსხვავებულ ძალთა ბრძოლების, კომპრომისების, კავშირების სივრცედ წარმოგვიდგება . ამასთანავე, ბრძოლის და კავშირების ურთიეთდამოკიდებულებები, მათი ხასიათი თვით მათში მონაწილე აგენტების საკუთარ ხასიათებს შორის არსებულ განსხვავებებზე დიდად არის დამოკიდებული. ბურდიე განსკუთრებულად უსვამს ხაზს, რომ ველში ყოველგვარი კომპეტეტურობა (ეკონომიკური, პოლიტიკური, იტელექტუალური და ა.შ.) წარმოადგენს არა უბრალოდ ტექნიკურ უნარს არამედ კაპიტალს აუცილებელ რაიმეს რათა ისარგებლოს ყველასათვის ფორმალურად არსებული პოტენციური უფლებებითა და შესაძლებლობებით.

ბურდიეს თეორია საშუალებას იძლევა უფრო მრავალმხრივ გავაანალიზოთ პოლიტიკის ველში ძალაუფლების მოპოვებისათვის აუცილებელი პოლიტიკური რესურსების და საშუალების განაწილება. სოციოლოგის აზრით, პოლიტიკურ ველში კონკრეტული აგენტის შესაძლებლობები განისაზღვრება არა მხოლოდ მისი საკუთარი პოლიტიკური პოზიციით, არამედ სხვა ველებში დაკავებულ პოზიციებით, რომლებიც კაპიტალის არსებობაზე არიან დამოკიდებული.

**ძირითადად ესაა ეკონომიკური, კულტურული, სოციალური და სიმბოლური (პრესტიჟი, რეპუტაცია, სახელი და სხვა) კაპიტალი.** პოლიტიკურ ველში აგენტების მდგომარეობაზე სხვადასხვა ცვლადები ახდენენ გავლენას, უპირველეს ყოვლისა კაპიტალის საერთო მოცულობა, რომელსაც ისინი ფლობენ და აგრეთვე ამ კაპიტალთა შერწყმა. კაპიტალი შესაძლებლობებს აძლევთ პოლიტიკოსებს თავიდან მოიშორონ არასასურველი ადამიანებები და ამავე დროს დაუახლოვდნენ მათთვის სასურველ ადამიანებს. პირიქით, ისინი კი ვინც მოკლებული არიან კაპიტალს, შორს დგანან დოვლათისა და ძალაუფლებისაგან.



ამგვარად, პოლიტიკურ პროგრამებს და პოლიტიკურ ხედვლებებს პრაქტიკულად ახორციელებენ მხოლოდ ის აგენტები, რომლებიც საკმარის კაპიტალს ფლობენ. არსებითად ისინი ექსპროპრიაციას უწევენ უმრავლეს მოქალაქეთა უფლებებს, ვინაიდან აგენტები, რომლებიც მოკლებულნი არიან კაპიტალს, იძულებულნი არიან აირჩიონ მხოლოდ ის, რაც მიეწოდებათ-ხშირად კი ეს შეიძლება აღმოჩნდეს მანიფესტაციებში მონაწილის სტატუსის ან პროფესიონალი პოლიტიკოსის განცხადების მსმენელის როლი.

კრიზისული პერიოდების გარდა პოლიტიკური აქციების წარმოება პროფესიონალების მონოპოლიაა. „რამდენიმე ადამიანის ხელში პოლიტიკური კაპიტალის კონცენტრაციას მით უფრო ნაკლები წინააღმდეგობა ხვდება და მაშასადამე, მით უფრო მეტად შესაძლებელია, რაც უფრო მოკლებულნი არიან პარტიის ჩვეულებრივი წევრები იმ მატერიალურ და კულტურულ ინტრუმენტებს, რომლებიც აუცილებელია პოლიტიკაში აქტიური მოქმედებისათვის, სახელდობრ თავისუფალ დროს და კულტურულ კაპიტალს“ აქედან ბურდიე დაასკვნის, რომ პოლიტიკის ბაზარი, ერთ ერთი ყველაზე ნაკლებ თავისუფალი ბაზართაგანია.

ამგვარად, თუ აგენტს არ აქვს ასეთი ინსტრუმენტები, კაპიტალები, რათა ამ ბაზრით ისარგებლონ, მაშინ მათ არავითარი სხვა არჩევანი არ რჩებათ თუ არა უარი თქვან თავიანთ უფლებებზე ამა თუ იმ პოლიტიკური მოძრაობის ან პარტიის სასარგებლოდ. რაც შეეხება პოლიტიკურ მოძრაობის თუ სახელისუფლო სტრუქტურების ხელმძღვანელ აგენტებს, მაშინ ისინი არსებითად დელეგირებულ უფლებებს როგორც პოლიტიკური სივრცის დაუფლების ძლიერ საშუალებას იყენებენ, რითაც სულ უფრო შორდებიან რიგით მოქალაქეებს.

ბოლოს, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ბურდიეს კონცეფცია ობიექტივიზმის და სუბიექტივიზმის ცალმხრივობებისა და რედუქციონიზმის გადალახვაზეა მიმართული. მის მიერ შემოთავაზებული habitus-ის, სოციალური სივრცის, სტრუქტურის, პრაქტიკის ლოგიკურად დაკავშირებულ კონცეფციებს მრავალი გასათვალისწინებელი და მიმზიდველი მხარე აქვს. გარდა ამისა იგი საკმარისად ეფექტურად რეალიზდება ემპირიულ გამოკვლევებში. ახორციელებს რა „სინთეზის საკუთარ სტრატეგიას“, ბურდიე ამოდის სოციალური სტრუქტურებიდან და მიიმართება სუბიექტის მოქმედების მიმართულებით, რაც მის მიდგომას ე. გიდენსის სტრუქტურაციის თეორიასთან აახლოებს, რომელიც თავის მხრივ საპირისპირო პერსპექტივიდან ამოდის და სტრუქტურებამდე მიდის.

## II. ენთონი გიდენსის სოციოლოგიის ძირითადი პრინციპები. სტრუქტურაციის თეორია.

“პრობლემა ისაა, თუ როგორ უნდა განისაზღვროს მოქმედების, მნიშვნელობის და სუბიექტურობის კონცეფციები და როგორ იქნება სტრუქტურისა და იძულების ცნებებთან მათი შეთანადება შესაძლებელი. თუ მაინტერპრეტირებელი სოციოლოგია დაფუძნებულია, ასე ვთქვათ, სუბიექტის იმპერიალიზმზე, მაშინ ფუნქციონალიზმი და სტრუქტურალიზმი სოციალური ობიექტების იმპერიალიზმს ბულისხმობს. სტრუქტურაციის ერთ-ერთი პრინციპული მიზანია – ბოლო მოუღოს ამ იმპერიულ მცდელობებს.

1. ე. გიდენსი პიროვნება და მეცნიერი. ე. გიდენსი (Giddens) 1938 წ. 18 იანვარს დაიბადა. იგი დღეს მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ბრიტანელი სოციოლოგი და პოლიტიკური მეცნიერია. 1965 წ. მან დაამთავრა გულის უნივერსიტეტის

სოციოლოგიის ფაკულტეტი, შემდეგ კი სწავლობდა ლონდონის ეკონომიკის სკოლაში, სადაც 1974 წ. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია სოციოლოგიაში. 1961 წლიდან იყო სოციოლოგიის მასწავლებელი ლესტერის უნივერსიტეტში. გიდენსის მეცნიერული საქმიანობის დიდი ნაწილი დაკავშირებულია კემბრიჯის უნივერსიტეტთან, სადაც ის მუშაობდა 1969 წლიდან ჯერ უფროსი მასწავლებლის თანამდებობაზე, ხოლო 1985 წლიდან 1995 წლამდე ეკავა პროფესორის თანამდებობა. 1996 წლიდან დღემდე იგი მუშაობს ლონდონის პოლიტიკურ და ეკონომიკის მეცნიერებათა უმაღლეს სკოლის დირექტორის თანამდებობაზე.

ე. გიდენსი არის მრავალი შრომის ავტორი სოციალურ თეორიასა და ისტორიულ სოციოლოგიაში. ცნობილია როგორც სტრუქტურაციის თეორიის შემქმნელი. მეცნიერული მოღვაწეობა მან სოციალური თეორიის კლასიკოსთა შრომების გადასინჯვით დაიწყო (“კაპიტალიზმი და თანამედროვე სოციალური თეორია” 1971). მის თეორიულ შეხედულებებზე დიდი გავლენა მ. ჰაიდეგერის ფილოსოფიამ, კერძოდ დროისა და ყოფიერების ინტერპრეტაციის კონცეფციამ მოახდინა. ე. გიდენსი იზიარებს მ. ჰაიდეგერის დაშვებას, რომ დრო და სივრცე არც ფილოსოფიაში და არც სოციოლოგიაში არ შეიძლება განვიხილოთ როგორც სოციალური ობიექტებისა და მათი საქმიანობის “სტრუქტურა” (ჩარჩო). დროისა და სივრცის ცნებები შეიძლება ინტერპრირებულ იქნან როგორც მყოფობა –არმყოფობის მუდმივი და თანმიმდევრული მონაცვლეობა.

ე. გიდენსს შრომებმა სოციალური თეორიის, მოტივაციის და რეფლექსიის თეორიის სფეროებში დიდი აღიარება მოუტანა. მისი კონცეფცია თანამედროვე თავისუფალი საზოგადოებისა და ადამიანის პირადი თავისუფლების ახალ საფეხურზე ამყვანის აღიარებას ეყრდნობა. პროფესორმა გიდენსმა ოც წიგნზე – მონოგრაფიაზე მეტი დაწერა, მათ შორის ისეთი, როგორებიცაა: “სოციალური მეთოდის ახალი წესები” (1976). “ისტორიული მატერიალიზმის თანამედროვე კრიტიკა” (1981) “საზოგადოების აგებულება (კონსტიტუცია). სტრუქტურაციის თეორიის ნარკვევი”(1984), “ეროვნული სახელმწიფო და ძალადობა” (1985), “სოციალური თეორიის ცენტრალური პრობლემები”(1986), “სოციოლოგია”(1989), “მოდერნიზმის შედეგები”(1990), “მოდერნიზმი და თვითმყოფადობა” (1991). “ადამიანური ერთობები”(1992); “ინტიმურობის ტრანსფორმაცია”(1992). გარდა ამისა იგი არის ექვსი შრომის თანაავტორი და კოლექტიური შრომის რედაქტორი. იგი არის თერთმეტი ევროპული და ხუთი ამერიკული უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი.

გიდენსი ამოცანად ისახავს გადაჭრას სოციოლოგიისათვის დამახასიათებელი ისეთი დუალიზმები და დილემები, როგორებიცაა: სტრუქტურა–მოქმედება, სუბიექტი–ობიექტი, მიკრო–მაკრო, კონფლიქტი–კონსენსუსი, ვოლუნტარიზმი–დეტერმინიზმი, სინქრონია–დიასქრონია. ამ დილემების და დუალიზმების გადაჭრის საუძვლად იგი სოციალური პრაქტიკის–ანუ სოციალური “პრაქსისის” ახლებურ გაგებას გთავაზობს.

## 2. სოციალური “პრაქსისის” ცნება.

სოციალური პრაქსისის ცნებით, გიდენსი, სოციალური ცხოვრების წარმოებისა და კვლავწარმოების პროცესს ახასიათებს. ყველა პრაქტიკა, გარდა იმისა, რომ იგი ლოკალურად არსებობს, ხელს სისტემური ურთიერთობებისა და სტრუქტურული ეტალონების წარმოებას უწყობს. მაშასადამე, სოციალური “პრაქსისი” შუამავალია, მედიუმი სტრუქტურასა და აქტორს შორის. მან თავიდან უნდა აგვაცილოს სუბიექტს (სოციალურ აქტორს) და ობიექტს (სოციალური მოქმედების დადგენილ ფორმებს, ანუ სტრუქტურებს) შორის დაპირისპირება. ის არის გზა, რომლის საშუალებითაც სუბიექტის აქტივობა

ობიექტურ მოცემულობად იქცევა, მაგრამ რომელიც, თავისთავად აღებული, არც ერთია და არც მეორე. სოციალური პრაქტიკა საშუალებას გვაძლევს სტრუქტურა როგორც კოლექტიურობის სოციეტალური ფორმა, მოქმედებისა და სიტუაციის გარეთ კი არ იქნეს გატანილი – მათი დეტერმინანტის ანუ განმსაზღვრელის სახით—არამედ მოქმედების პერფორმაციის (შესრულების) პროცესში ჩაერთოს. სწორედ ამის გამო, გიდენსი ტერმინს “სტრუქტურა” ანაცვლებს ტერმინით “სტრუქტურაცია”. სტრუქტურაცია აღნიშნავს რეალურ პროცესს, ხოლო “სტრუქტურა” მხოლოდ ანალიტიკური აბსტრაქციაა, “მეხსიერების ნაკვალევი”.

იმ შემთხვევაში, როდესაც ცალკეული სოციალური პრაქტიკა ნარჩუნდება, ანუ მეორდება, ადგილი აქვს პრაქტიკათა კვლავწარმოებას (რეპროდუცირებას), რაც სოციალური ინსტიტუტების, ანუ რუტინების არსებობის პირობაა. სოციალური თავიანთ მოქმედებას როგორც თავისთავად ნაგულისხმევს განიხილავენ. რუტინული სოციალური პრაქტიკა სოციალური ცვლილების შესაძლებლობას გამოირიცხავს. სოციალური ცვლილება ხანიერი სოციალური პრაქტიკის შეწყვეტას, ანუ პრაქტიკის ტრანსფორმაციას მოითხოვს.

სოციალურ ინსტიტუტებს ყოველთვის გააჩნია კონტექსტი, რომელიც დრო-სივრცული ურთიერთობის გალაგებასთანაა დაკავშირებული და ურთიერთობის საზღვრებს, აქტორთა თანაყოფნას და მათ შორის კომუნუკაციას მოიცავს.

როდესაც სოციალური ინსტიტუტების მოდელირება ხდება დროსა და სივრცეში, მაშინ სახეხეა სოციალური სისტემა. სიტემა ყველა სახის შიდა ჯგუფური ურთიერთობების ეტალონებს ეხება – პატარა ჯგუფებიდან დაწყებული, სოციალური ქსელებით და ფართო ორგანიზაციებით დამთავრებული.

გიდენსი ერთმანეთისაგან განასხვავებს სოციალურ ინტეგრაციას და სისტემურ ინტეგრაციას.

სოციალური ინტეგრაცია პირისპირ ინტეგრაციის შედეგად შექმნილ წესრიგს გულისხმობს.

სისტემური ინტეგრაცია გულისხმობს გაშუალებულ ინტეგრაციას, როდესაც ინტეგრაცია გაცდა ლოკალურ მოცემულობას და გადაინაცვლა სფეროში, რომელიც “არდამსწრე” აგენტთა შორის ურთიერთობათა ქსელს მოიცავს.

სოციალური ინტეგრაცია მოქმედების დონეა, ხოლო სისტემური ინტეგრაცია – სოციეტალური დონე. ისინი ურთიერთდაკავშირებულია.

### 3. სტრუქტურა და “სტრუქტურის დუალობა”

სოციალური პრაქტიკა განსაზღვრული წესების და რესურსების საფუძველზე ხორციელდება. წესებს პრაქტიკათა მაწარმოებლის ფუნქცია ეკისრება.

არსებობს:

ა) პროცედურული წესები, რომლებიც მიუთითებს, თუ როგორ შესრულდეს, კონსტრუირდეს მოქმედება და

ბ) მორალური წესები, რომლებიც მიუთითებს, თუ რა არის საჭირო ნორმატული ქმედებების უზრუნველსაყოფად.

წესები უკავშირდება “საზიარო ცოდნას”, რომელიც მარტივად გულისხმობს ცოდნას იმისა, თუ როგორ მოვიქცეთ. საზიარო ცოდნას ინაწილებს ყველა, ვინც ჩართულია სოციალური პრაქტიკების შესრულებაში.

წესები ტრანსსიტუაციური ბუნებისაა: უამრავმა აქტორმა, სრულიად განსხვავებულ სიტუაციაში, შეიძლება საზიარო ცოდნის ერთი და იგივე ფორმა გამოიყენოს.

რაც შეეხება რესურსებს, გიდენსი ორი ტიპის – მატერიალურ-ალოკაციურ და პალაუფლებით-ადმინისტრაციულ – რესურსებს გამოყოფს.

**მატერიალური რესურსები** იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ აქტორებმა მატერიალური ობიექტები: ტექნიკური იარაღები, წარმოების, გაცვლის საშუალებები, ნედლი მასალები და ასე შემდეგ გამოიყენონ.

**პალაუფლებითი რესურსები** არამატერიალური რესურსებია, რომლებიც იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ აქტორებმა გავლენა მოიპოვონ პიროვნებებზე. მათ მიეკუთვნება: სოციალური დროისა და სივრცის ორგანიზაცია, თვითგანვითარების და თვითგამოხატვის შესაძლებლობები და სხვ.

სწორედ წესებსა და რესურსებს “შეაქვს” სტრუქტურა სოციალური ცხოვრების ქმნალობა-წარმოების პროცესში, რომელიც შესაძლებელს ხდის მოქმედების განხორციელებას.

თუმცა, სტრუქტურა არა მხოლოდ პრაქტიკათა კვლავწარმოების საშუალებაა (მედიუმია), არამედ მისი შედეგიც. სწორედ ამაში მდგომარეობს “სტრუქტურის დუალობის” არსი. სტრუქტურის დუალობის ქვეშ გიდენსი გულისხმობს იმას, რომ სოციალური სისტემების სტრუქტურული თვისებები წარმოადგენს სოციალურ სისტემათა შემადგენელი პრაქტიკების როგორც მედიუმს (საშუალებას), ისე შედეგს.

მაგალითად: როდესაც, ჩვეულებრივ, სწორად ვმეტყველებთ, ვიყენებთ (როგორც წესი, ლატენტურად) ენის გრამატიკულ წესებს, რომლებიც აუცილებელი პირობაა სწორი მეტყველებისათვის. თუმცა, მეტყველების პროცესში ჩვენ ვახდენთ ამ წესების კვლავქმნას, რეპროდუცირებას, ანუ წესები ამ პროცესის შედეგსაც წამოადგენს.

სტრუქტურის დუალობამ უნდა დაძლიოს დილემმა თუ დუალიზმი – “მოქმედება – სტრუქტურა”: სტრუქტურა არა მხოლოდ ქმნის მოქმედებას, არამედ, ამავედროულად, კვლავიქმნება მოქმედების პროცესში. სხვაგვარად თუ ვიტყვი, ყოველდღიურ ცხოვრებაში გარკვეული ქმედებების შესასრულებლად აქტორები იყენებენ სტრუქტურის, ანუ წესებისა და რესურსების შესახებ ცოდნას, თუმცა ამავე დროს ახდენენ ამ ცოდნის, ე.ი. სტრუქტურის კვლავწარმოებას.

ამგვარად, მოქმედება და სტრუქტურა ურტიერთგანმაპირობებელი ფენომენებია, სტრუქტურა ჩართულია მოქმედებაში, არ არსებობს მოქმედების “გარეთ” და გარეშე.

რამდენადაც სტრუქტურა როგორც მოქმედების წესებისა და რესურსების შესახებ ცოდნა, ანალიტიკური არსტრაქციაა, ამდენად არსებობს მხოლოდ სტრუქტურაციის დინამიკური, დროსა და სივრცეში რეალიზებული პროცესი. ამდენად, **სტრუქტურაცია** სოციალური სინამდვილის, რეალობის ონტოლოგიური სუბსტრატია. მას არსებითად კიდევ ერთი – **რეფლექსურობის** – ცნება უკავშირდება. სწორედ რეფლექსია არის ის გზა, რომლის საშუალებითაც აქტორი საკუთარ მოქმედებას აკონსტრუირებს. ადამიანური აგენტებისათვის დამახასიათებელი რეფლექსური ფორმა ისაა, რომელიც ყველაზე ღრმადაა ჩართული სოციალური პრაქტიკების განახლებადა წესრიგში.

#### 4. აგენტის სტრატეგიკაციული მოდელი

ის, რასაც გიღენსი მოქმედი პირის ანუ აგენტის სტრატეგიკაციულ მოდელს უწოდებს:

- ა) მოქმედების რეფლექსური მონიტორინგის,
- ბ) რაციონალიზაციისა და
- გ) მოტივაციის შესწავლას მოითხოვს.

აქ სქემაა ჩასამელი

**მოქმედების რაციონალიზაცია** მოქმედების როგორც პროცესის “ინტენციონალობას” ეხება. ის ადამიანური მოქმედების რუტინული მახასიათებელია, რომელიც თავითავად ნაგულისხმევი გზით სრულდება. რაციონალიზაციის ქვეშ იგულისხმება ის, რომ აქტორები რუტინულად აღწევენ მათი მოქმედების საფუძვლების უწყვეტ “თეორიულ გაგებას”. მოქმედების რაციონალიზაცია მთავარი საფუძველია სხვათა მიერ აქტორთა “კომპეტენციის” შესაფასებლად.

**რეფლექსური მონიტორინგი** ყოველდღიური მოქმედების მუდმივი მახასიათებელია. მისი საშუალებით აქტორები არა მხოლოდ აკონტროლებენ მათი ქმედებების ნაკადის მიმდინარეობას (და ამის გაკეთებას სხვებისგანაც მოელიან), არამედ, აგრეთვე რუტინულად აკონტროლებენ იმ სოციალურ და ფიზიკურ პირობებს, რომელთა კონტექსტშიც ისინი მოქმედებენ.

**მოქმედების მოტივაცია.** თუ პირველი ორი ეხება მოქმედების საფუძვლებს, მოტივები ეხება სურვილებს, რომლებიც იწვევს მოქმედებას. მოტივაცია უფრო მეტად ეხება მოქმედების პოტენციას, ვიდრე იმ გზას, რომლითაც მოქმედება რუტინულად სრულდება აგენტის მიერ. ჩვენი ყოველდღიური ქცევების დიდი ნაწილი არ არის უშუალოდ მოტივირებული. მოტივები მოქმედებაზე უშუალო გავლენას მხოლოდ შედარებით უჩვეულო გარემოებებში ახდენს – სიტუაციებში, რომლებიც, გარკვეული აზრით, შორდება რუტინას. უმეტეს შემთხვევაში მოტივები უზრუნველყოფს მთლიან გეგმას ან პროგრამას, რომლის ფარგლებშიც ქცევის ჯაჭვი სრულდება.

**განზრახველი შედეგები.** აგენტის სტრატეგიკაციული მოდელი განზრახველ შედეგებს მოიცავს, რას გულისხმობს გიღენსი ამგვარი შედეგების ქვეშ? რას ნიშნავს, რომ გააკეთო რაღაც არაგანზრახულად? არის კი ეს განსხვავებული იმისაგან, რომ არაგანზრახულად აწარმოო შედეგები? იმის გასაგებად, თუ რას ნიშნავს რაღაცის არაგანზრახულად გაკეთება, პირველ რიგში, ნათელი უნდა გახდეს ის, როგორ უნდა იქნეს გაგებული თავად “განზრახულის” ცნება. აი, რას წერს გიღენსი:

–**განზრახული მოქმედება** მოქმედების ისეთი დახასიათებაა, როდესაც მისმა შემსრულებელმა იცის ან სჯერა, რომ ქმედებას ექნება კონკრეტული თვისება ან შედეგი და როდესაც ეს ცნება გამოიყენება მოქმედების ავტორის მიერ ამ თვისების ან შედეგის მისაღწევად.

მაშასადამე, უნდა გამოვაცალკევოთ საკითხი, თუ რას “აკეთებს” აგენტი, იმისაგან, თუ რას “განიზრახავს” იგი, ანუ იმის ინტენციონალური ასპექტებისაგან, რაც გაკეთებულია. **მოქმედება შეეხება კეთებას.** წამოვიდგინოთ, მოქმედების ასეთი ჯაჭვი: ინდივიდი ჩამოკრავს ხელს ჩამრთველს ოთახის გასანათლებლად. მიუხედავად იმისა, რომ ეს განზრახულია, ის ფაქტი, რომ ჩამრთველის ჩართვა აფრთხილებს მძარცველს – არა. დაუშვათ, რომ

მძარცველს, რომელიც ქუჩაში გარბის, იჭერს პოლიციელი. მძარცველს ასამართლებენ სახლის გატეხვისათვის და იგი ერთ წელს ატარებს ციხეში. არის თუ არა ყველაფერი ეს ჩამრთველზე ხელის ჩამოკერის აქტის განუზრახველი შედეგები? ჩამრთველზე ხელის ჩამოკერა და სინათლის ანთება იყო რაღაც, რაც აგენტმა გააკეთა და მძარცველის გაფრთხილებაც იყო რაღაც, რაც აგენტმა გააკეთა. ეს იყო განუზრახველი, რამდენადაც აქტორმა არ იცოდა, რომ მძარცველი სახლში იყო და ის არ ცდილა ეს ცოდნა მძარცველის გასაფრთხილებლად გამოეყენებინა. ამგვარად, ყველა გარემოება, რაც მძარცველს შეემთხვა ჩამრთველზე ხელის ჩამოკერიდან მოყოლებული, აქტის განუზრახველი შედეგებია, მხედველობაში ვიდებთ რა იმას, რომ ინდივიდმა არ იცოდა მძარცველის იქ არსებობის შესახებ და, ამდენად, შედეგი შემოიტანა განუზრახველად.

ამგვარად, მოქმედებებს აქვთ **განუზრახველი შედეგებიც. ამის საილუსტრაციოდ** გიძენსს მოყავს შემდეგი მაგალითი: “მშობლიურ ენაზე ჩემი სწორად ლაპარაკისა და წერის ერთ-ერთი რეგულარული შედეგია ინგლისური ენის (როგორც მთლიანის) კვლავწარმოებისათვის ხელშეწყობა. ინგლისურად ჩემი სზორად ლაპარაკი არის განუზრახული; ის ხელშეწყობა, რომელსაც მე ვეწევი ენის კვლავწარმოების მიმართ – განუზრახველი შედეგი”.

განუზრახველს შედეგებს, უკუკავსირის სახით, შეუძლია სისტემატურად იყოს მომავალი მოქმედებების გაუცნობიერებელი პირობები. ანუ, მოქმედებების განუზრახველი შედეგები მომავალი მოქმედების გაცნობიერებული პირობების ფორმირებას ახდენს.

## 5. სუბიექტურობის დონეები

**გიძენსი ორი ტიპის: აქტიურ და პასიურ რეფლექსიას გამოყოფს.**

აქტიური რეფლექსია **დისკურსული** ცნობიერების დონეზე ხორციელდება, რომელიც მსჯელობის და დასაბუთების დონეა.

პასიური რეფლექსიას **პრაქტიკული ცნობიერება** ახორციელებს, რომელიც ქცევის რუტინული ფორმების ნაგულისხმევ იმპლიციტურ ცოდნას ეხება: აქტორი მოქმედებს სტრუქტურის, ე.ი. წესების და რესურსების შესაბამისად ისე, რომ მათზე აქტიურ რეფლექსიას არ ახდენს. საზღვარი დისკურსულ და პრაქტიკულ ცნობიერებას შორის მერყევი და ღიაა როგორც ინდივიდუალური აგენტის გამოცდილებაში, ასევე სოციალური მოღვაწეობის განსხვავებულ კონტექსტებში, სადაც აქტორთა შორის შედარებები შესაძლებელია.

პრაქტიკული ცნობიერება შესაძლებელს ხდის, რომ პრაქტიკები შესრულდეს უშუალო მოტივაციის გარეშე.

პრაქტიკული ცნობიერების კალაპოტში თავსდება ყოველდღიური ქცევების დიდი ნაწილი ( საუბრისას ვიცავთ ენის წესებს, მაგრამ მათ შესახებ აქტიურ ცოდნას არ ვფლობთ). რუტინული ქმედებების რეფლექსურ მონიტორინგს პრაქტიკული ცნობიერება ახორციელებს. მოქმედებათა დისკურსულ იდენტიფიკაციას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც რუტინათა შესრულებას ხვდება წინააღმდეგობა. აქტიური რეფლექსიისა და დასაბუთების უნარი (ე.ი. დისკურსიული ცნობიერება) მობილიზდება რუტინათა შეწყვეტის, ან, განსაკუთრებულ შემთხვევაში, – კრიტიკული მსხვრევის დროს. ეს პროცესიზოგჯერ წინასწარმეტყველებადია (მაგ., უნივერსიტეტის დამთავრება), ხოლო ზოგჯერ რუტინათა შეწყვეტა გაუფრთხილებლად ხდება (მაგ., სერიოზული ავადმყოფობის დროს). ყველა შემთხვევაში, ამ პროცესს, საბოლოო ჯამში, სოციალური ცვლილებები მოაქვს.

ძირითადად პრაქტიკული ცნობიერების საფეხურზე არსებობს ის, რასაც გიდეისი მოქმედების რაციონალიზაციას უწოდებს. ესაა პროცესი, როდესაც აგენტი საკუთარი ქმედების მონიტორინგს ახდენს მისივე განზრახვების(ინტენციების) პოზიციიდან. ამ დროს აგენტები ინარჩუნებენ იმის, იმპლიციტურ ცოდნას, თუ რისი მიღწევა შეუძლია მათ ქმედებებს სოციალურ ცხოვრებაში. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მოქმედების რაციონალიზაცია უზრუნველყოფს აგენტთა მოქმედებების სრულ გათვლას. ასე შემოდის სტრუქტურაციის თეორიაში განუზრახველი შედეგების ცნება.

გიდეისი განასხვავებს სუბექტურობის კიდევ ერთ – არაცნობიერ დონეს. იგი აღგენს, თუ რატომ მიმართავენ აქტორები პრაქტიკების კვლავწარმოებას ან შეცვლას. ამ დონეზე არ ხორციელდება კონტროლი რუტინათა ყოველდღიურ რეპროდუქციაზე, იგი უზრუნველყოფს ზოგად მოტივაციას, რომელიც გულისხმობს აქტორთა ადრეული ბავშვობიდან წამოსულ არაცნობიერ მოთხოვნილებას იმისა, რომ განიცადონ სოციალური სამყაროს მიმართ სიახლოვე, დაეუფლონ ამ სამყაროს სტაბილურ მახასიათებლებს, გამოიმუშაონ “ონტოლოგიური უსაფრთხოების” განცდა, რათა შფოტისა და სხვადასხვა არასაიამოვნო სტიმულისაგან განთავისუფლდნენ.

არაცნობიერი მოტივაცია არის ადამიანური ქმედების მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რომელიც ძირითადად პრაქტიკული ცნობიერების დონეზე არსებობს. პრაქტიკული ცნობიერების ცნება ფუნდამენტურია სტრუქტურაციის თეორიისათვის. ე სარის ადამიანური აგენტის ან სუბიექტის ის მახასიათებელი, რომლის მიმართაც განსაკუთრებით ბრმა იყო სტრუქტურალიზმი და ობიექტივისტური აზროვნების სხვა ტიპები. სოციოლოგიურ ტრადიციაში მხოლოდ ფენომენოლოგიასა და ეთნომეთოდოლოგიაში შეგვიძლია აღმოვაჩინოთ პრაქტიკული ცნობიერების დეტალური და ფაქიზი კვლევა.

სტრუქტურაციის თეორია, რომელიც მიმართულია სოციალურ თეორეტიზირებაში არსებულ დუალიზმთა და დილემათა გადალახვაზე, სოციალური სუბიექტის (აგენტის) პერსპექტივიდან ამოდის. მოქმედების სუბიექტის რთული, მაგრამ კარგად დამუშავებული კონცეპტუალური სქემა, სოციალურ მოქმედებასთან მიმართებაში მიზეზის, მიზნების, მოტივის, განზრახვის, წესების ცნებათა გაშუქების დაუდალავი შრომა ამ თეორიას მრავალი მიმართულებით მკაცრ და მწყობრ თეორიულ საქმიანობად აქცევს. მაგრამ სუბიექტის მხრიდან დაწყებული მოძრაობა სოციოლოგიური სინთეზის მიმართულებით გულისხმობს უკუშესაძლებლობას-ობიექტის მხრიდან მოძრაობას. ამ ტენდენციის რეალიზაციის მაგალითად გვევლინება ნ.ლუმანის სოციალური სისტემის არანაკლებ რთული და მკაცრად დამუშავებული კონცეფცია გვევლინება.

## **ნიკლას ლუმანის (8.12.1927 - 6.11.1998) სოციოლოგიის ძირითადი პრინციპები.**

**ნიკლას ლუმანი პიროვნება და მეცნიერი.** იგი დაიბადა გერმანიის ქ. ლინებურგში 1927 წელს. ლუმანის მწარმოებლის ოჯახში. ლუმანი წარმოშობით არ მიეკუთვნება განათლებულ ბიურგერთა კლასს. 1946 წლიდან 1949 წლამდე იგი ეუფლება სამართლის მეცნიერებას ქ.ფრაიბურგში. 1944 წელს გაიწვიეს გერმანიის არმიაში, მაგრამ ბრძოლებში ფაქტობრივად მონაწილეობა არ მიუღია, იყო საავიაციო ნაწილების ტექნიკოსის თანაშემწე. იგი კარგად აცნობიერებდა მიმდინარე ომის აბსურდულობას და მრავალი თავისი თანატოლოს მსგავსად

ეძიებს შესაძლებლობას, რათა ტყვედ ჩაბარდეს ამერიკელებს ან ინგლისელებს, რასაც ასერხებს კიდევაც. 1956-1962 წლებში იგი მუშაობს ქვემო საქსონიის კულტურის სამინისტროში უფროსიმრჩველის პოსტზე. სწორედ აქ მუშაობისას ლუმანმა თავის თავს მოუწყო სტაჟირება ამერიკაში. იგი ხომ ამერიკაში სწავლობდა წამსვლელთა საბუთებს აფორმებდა. ერთხელ თავში აზრად მოუვიდა მასაც იგივე გაეკეთებინა. 1960-1961 წლებში ლუმანი უკვე აშშ-ში, ჰარვარდის უნივერსიტეტშია და სწავლობს. (თუ სტაჟირებას გადის) ისეთ ცნობილ სოციოლოგთან, როგორც თ. პარსონს იყო. 1966 იცავ დისერტაციას უმაღლესი ხარისხით უჩვეულოს და არაჩვეულებრივს, როგორც ნისი ბიოგრაფები შენიშნავენ დღევანდელი წარმოდგენის შესაბამისად უბრალოდ წარმოუდგენელს: ორივე დისერტაციას (პრომოტიონ-ს, რომელიც დოქტორის ხარისხს იძლევა, და ჰაბილიტაციოლ-ს რომელიც პროფესიისაკენ უხსნის გზას) იცავს მხოლოდ ნახევარი წლის ინტერვალით.

1968 წელს ლუმანი იღებს პროფესორის თანამდებობას სულ ახლად გახსნილ ბილფელდის უნივერსიტეტში. სადაც იგი თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე რჩება, ვიდრე პენსიაზე არ გავიდა 1993 წელს. 1977 წელს გარდაეცვალა მეუღლე, რის შემდეგ არც დაქორწინებულა, იგი მაქს ვებერის მსგავსად არ ცდილობდა ეზრუნა თავის მოსწავლეებზე და რაღაც სკოლა შეექმნა. თუმცა მისი პენსიაზე გავლის შემდეგ ქ. ბილფელში მისი მიმდევრების საფუძვლიანად ორგანიზებული ჯგუფი ჩამოყალიბდა. 1988 წელს მან მიიღო ჰეგელის სახელობის პრემია. ათი წლის შემდეგ გაასრულა რა თავისი ყველაზე დიდი 1000 გვერდიანი და ფუნდამენტური შრომა - „საზოგადოების საზოგადოება“, როგორც უკანასკნელი წიგნი, მონუმენტური შრომა, გრანდიოზული პოექტის შედეგი, მთელი სიცოცხლის საქმე - გარდაიცვალა კიდევ. მსოფლიო სოციოლოგიას არ დაუწყია ჯერ მისი თეორიის ენაზე ლაპარაკი, მაგრამ მისთვის გვერდის ავლაც ძალზე რთული და ძნელია.

უახლეს წლებში ნათლად გამოჩნდება ნ. ლუმანის შეხედულებების არა მხოლოდ ევრისტიკული არამედ მაკონსტრუირებელი ძალაც და როლიც. მისი ძირითადი შრომებია: “ სოციალური სისტემები; ზოგადი თეორიის ნარკვევები”, (1984) „ეკონომიკის საზოგადოება“, (1988) „მეცნიერების საზოგადოება“, (1990), „სამართლის საზოგადოება“, (1993), „ეკოლოგიური კომუნიკაცია“, მესამე გამოცემა 1992 წელს. „თანამედროვეობის დაკვირვებები“, 1992 წელი და სხვა.

**სოციოლოგიის კრიზისი და სამი ეტაპი სისტემური ანალიზის განვითარებაში. საზოგადოების ცნება.**

ნ. ლუმანი თანამედროვე თეორიული სოციოლოგიის კრიზისის გაცნობიერების წანამდვარიდან ამოდის. კრიზისის გაცნობიერება მისი აზროვნებისათვის არის როგორც ამოსავალი წანამდვარი ისე მისი განაზრებების წყაროც. იგი თვლის რომ „ემპირიულმა გამოკვლევებმა, მთლიანობაში ნამდვილად წარმატებულმა, გააფართოეს ჩვენი ცოდნა, მაგრამ ვერ მიგვიყვანეს ერთიანი სოციოლოგიური თეორიის შექმნამდე. „ამგვარი თეორიის ამოცანას ლუმანი უპირველეს ყოვლისა რეალური სამყაროს უსასრულო სირთულის (კომპლექსურობის) გამარტივებაში ხედავს. ასეთი ამოცანის შესრულება კი სოციოლოგიას მხოლოდ მაშინ შეუძლია თუ იგი გამოიყენებს სხვა მეცნიერებების საუკეთესო მიღწევებს. და შეძლებს თავისი ძირითადი ცნებების საკმაოდ აღქვატურად კონცეპტუალიზირებას. ლუმანის აზრით სოციოლოგიური თეორია არ უნდა იკვლევდეს პროგრესისა და ევოლუციის „მეტეფიზიკურ“, - საკითხებს; სოციოლოგიამ უნდა დაამუშაოს სოციალური სამყაროს შემეტებისათვის გამოსადეგი თეორიული ინსტრუმენტები. სწორედ ამის გამო თავის ძირითად ამოცანას ლუმანი საზოგადოების ცნებისა და თეორიის დამუშავებაში ხედავს.



საზოგადოების ცნება წარმოადგენს, რა სოციოლოგიური ცოდნის ცენტრალურ ცნებას, ამავე დროს ყველაზე განუსაზღვრელი, ბუნდოვანი და უფერული წარმონაქმნია. ლუმანი გამოყოფს სამ ხელისშემშლელ პირობას, რომელიც დაბრკოლებას გვიქმნის ამ ცნების განსაზღვრებისას.

1. „ჰუმანისტური ცრურწმენა,, რომლის მიხედვითაც საზოგადოება შედგება ადამიანებისაგან და მათ შორის ურთიერთობებისაგან.

2. საზოგადოებათა ტერიტორიული მრავალსახეობის დაშვება.

3. შემეცნების ობიექტისა და სუბიექტის დაპირისპირება და გაცალკეევა.

სამივე დაბრკოლება შეიძლება გადაიღახოს სოციოლოგიური ცოდნის მხოლოდ ახალი პარადიგმის (ნიმუშის) ჩარჩოებში. ასეთ პარადიგმად კი ლუმანს სისტემური მიდგომა მიაჩნია: „ჩემი წინადადებაა: საფუძველში ჩავდოთ კომუნიკაციის ცნება და ამით ახლებურად გავიაზროთ სოციოლოგიური თეორია სისტემის ცნების ბაზაზე, ნაცვლად მოქმედების ცნებისა,,

„სისტემის,, ცნება სოციოლოგიაში მას შემდეგ დამკვიდრდა, რაც აუცილებელი გახდა სოციალური სამყაროს განვითარების როგორც შედარებით დამოუკიდებელი პროცესის აღწერა, რომელშიც საზოგადოება წარმოგვიდგება შემადგენელ ურთიერთდაკავშირებულ და ურთიერთდამოკიდებულ ნაწილთა მთლიანობად. ყველაზე მეტ ყურადღებას სისტემას აქცევდნენ ისინი ვინც ცდილობდნენ სოციოლოგიის ბუნების მეცნიერების დარად წარმოდგენას და შესაბამის ანალოგიებს ბიოლოგიაში ეძებდნენ.

სოციოლოგიაში სისტემური ანალიზის განვითარებაში სამი ეტაპი შეიძლება გამოვეყოთ;

1. პირველ ეტაპზე საზოგადოება აღიქმებოდა როგორც რაღაც მოცემული მთლიანობა, ბიოლოგიური ორგანიზმის ანალოგიურად. ამ ეტაპისათვის დამახასიათებელია „ნაწილი-მთელის,, პარადიგმა. ითვლება, რომ მთელი ( ე.ი. სისტემა) მეტია ნაწილების ჯამზე, რომ ნაწილებს შორის სპეციფიკური კავშირების წყალობით წრმოიშვება სისტემის თვისებრივად ახალი თვისებები. ამ ეტაპის კლასიკური წრმომადგენელი სოციოლოგიაში ემილ დიურკემი იყო. სოციოლოგიის ამოცანად გამოცხადდა ამ მთლიანობით წარმონაქმნი ურთიერთკავშირებისა და ურთიერთდამოკიდებულებების შესწავლა.

2. მეორე ეტაპზე ბატონობს „სიტემა- გარემოს,, პარადიგმა. მისი წარმომადგენელი სოციოლოგიაში იყო ტ. პარსონსი. მისი აზრით, სისტემა წარმოიქმნება გარემომცველი სინამდვილისაგან გამიჯვნის გზით და მკლვარის ყურადღებაც პირველ რიგში მიმართული უნდა იყოს სისტემასა და გარემოს შორის არსებულ დამოკიდებულებებსა და პროცესზე. შესაბამისად ღია სისტემებისათვის, სოციალური სისტემები კი სწორედ ასეთია, ცენტრალურ ცნებებად; შესასვლელისა და გასასვლელის (ინპუტ ოუტპუტ) ცნებები იქცნენ. სისტემური მიდგომის განვითარებამ სოციოლოგიაში წინა პლანზე წამოსწია სისტემური საზღვრებისა და ემერჯენტული (ზედაპირზე გამოტანილი) თვისებების პრობლემა. თუ სისტემა ღიაა და მაშასადამე, ფლობს მოძრავ საზღვრებს, მაშინ როგორი წესით ამკვიდრებს სისტემა ამ საზღვრებს და როგორ იცავს იგი მათ?, გარდა ამისა სისტემა-ესაა არა უბრალოდ ელემენტების და მათ შორის კავშირების ერთობლიობა, სისტემა არის ელემენტებისა და კავშირებისაგან (სტრუქტურები) განსვავებული ახალი მთლიანობა, რომელსაც აქვს თავისი საკუთარი სისტემური (ემერჯენტული) თვისებები, რომლებიც არც დაიყვანება და არც აიხსნება ელემენტებისა და სტრუქტურების თვალსაზრისით

3. სისტემურ თეორიული აზროვნების განვითარებაში მესამე ეტაპს ნ. ლუმანის სისტემური თეორია წარმოადგენს. მის ცენტრალურ ცნებებს; აუტოპოიესისური ანუ თვითაღმწერი (თვითრეგულირებელი) სისტემის ცნებები შეადგენს. ლუმანის აზრით სისტემა ეს არის ისეთი რამ, რომელაც ძალუძს გარემომცველი სინამდვილისაგან თავისი თავის გამოყოფა და განსხვავება და ამ საზღვრის

კვლავ წარმოება. სწორედ საზოგადოება არის ასეთი თვითმწარმოებელი და თვითაღმწერი სისტემის მაგალითი. საზოგადოება მუდმივად აწარმოებს თავისი თავისა და გარემოს განსხვავებას, განსხვავებას, რომელიც მას აძლევს უფლებას სისტემურად იწოდებოდეს. ეს სისტემა თვითმწარმოებლად (აუტოპოიესისურად) ითვლება იმ აზრით რომ კვლავ წარმოების აქტი არ გულისხმობს წარმოების მიზეზისა და პირობების ხელახლა შექმნას და კვლავ წარმოებას. სისტემას აქვს თავისი თავის კვლავწარმოების როგორც გარეგანი ისე შინაგანი მიზეზები, მას ასევე ძალუძს ამ მიზეზების ისე მოცემა რომ განსხვავება აღდგენილი იქნას. საზოგადოება გვევლინება არა მხოლოდ აუტოპოიესისურ, არმედ თვითრეფერენტულ სისტემადაც, რაც ნიშნავს არამხოლოდ საკუთარი თავის კვლავწარმოების, არამედ საკუთარი თავის აღწერის უნარსაც, კვლავწარმოებას რა ამ აღწერაში თავისივე თავს. საზოგადოების ასეთი აღწერა შეიძლება პირველი შეხედვით ტავტოლოგიური გვეგონოს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სისტემის განსაზღვრებიდან გამომდინარე ელემენტებისა და სტრუქტურის ცნებათა შორის არსებულ კარდინალურ განსხვავებას.

ასეთ შემთხვევაში სოციალური სისტემის ელემენტები აღმოჩნდებიან კომუნიკაციები და არა ადამიანები ან მათი მოქმედებები. კომუნიკაციები მოქმედებებად იშლებიან; მოქმედებები წარმოიქმნიებიან სისტემის მიერ თავისი თავის გასამარტივებლად, საკუთარი სირთულის გადასალახავად. ტერმინი კომუნიკაცია სხვა საზრისს იძენს. იგი ნიშნავს ინფორმაციის მაუწყებლობის (ცნობების) და გამების განსხვავებას. კომუნიკაცია არის არა უბრალოდ ინფორმაციის გადაცემა – ესაა საზრისეული, თვითრეფერენტული (თვითაღმწერი) პროცესი. ამგვარად, სისტემა შედგება განსხვავებისაგან (კომუნიკაციებისაგან), რომელსაც სხვა განსხვავებასთან მივყავართ. კომუნიკაციები აწარმოებენ და კვლავწარმოებენ საკუთარ თავს თავისივე თავის მეშვეობით, ესე იგი სისტემის ელემენტები და სისტემური ოპერაციები ერთი და იგივეა. აქედან გამომდინარეობს სოციალური სისტემის ოპერატიული ჩაკეტილობა. იგი საკუთარი ოპერაციების მეშვეობით კვავაწარმოებს თავის თავს, საკუთარი ოპერაციების, რომლებსაც არანაირი დამოკიდებულება არ აქვთ გარეგან საყაროსთან, რაც არის კიდევ თვითგანსხვავების სისტემის დახასიათების საფუძველი. რამდენადაც სისტემის ელემენტებად მოქმედებებად (ცდომილებებად) დანაწევრებული კომუნიკაციები გვევლინებიან, ამდენად სტრუქტურა არ შეიძლება იყოს ელემენტთა შორის დამოკიდებულება. ცდომილებები არ ფლობენ დროულ ხანგრძლივობას- განვრცობას, ისინი წამიერია. ამიტომ სტრუქტურა, წარმოდგენილი როგორც ცდომილებათა დამოკიდებულებები, არამდგრადია. თვითმწარმოებელი სისტემის სტრუქტურა „მდგომარეობს სისტემაში დასაშვები დამოკიდებულებების (ურთიერთობების) შეზღუდვაში.... ეს ნიშნავს, რომ მხოლოდ შემზღუდავი სტრუქტურირების წყალობით სისტემა იღებს „შინაგანი ხელმძღვანელობის,, ისეთ რაოდენობას, რომელსაც შეუძლია შესაძლებელი გახადოს კვლავწარმოება. „სტრუქტურა წყვეტს სისტემის სიმყარის ფაქტორად არსებობას და იგი მისი განახლების ფაქტორი ხდება. გარემო სისტემას სულ ახალ და ახალ მოთხოვნებს უყენებს, სისტემა კი საკუთარი ოპერაციებით კვლავ იწარმოება ისე რომ ითვალისწინებს ამ მოთხოვნებს. მაგრამ სისტემის ასეთი თვითგანახლება შეუძლებელია წინამორბედი დაშლა დანაწევრების გარეშე. რამდენადაც სისტემის ელემენტები ცდომილებებია, რომლებიც განსაზღვრულნი არიან მხოლოდ იმით, რაც მოხდა მათ არსებობამდე და რაც მოხდება მათ შემდეგ, ამდენად სისტემის დაშლა დანაწევრება მუდმივი პროცესია, რომლისამი დაპირისპირება სისტემას მხოლოდ სტრუქტურირებით შეუძლია. სისტემაში დაშლა-დანაწევრების პროცესის მოწესრიგება მხოლოდ მოლოდინებს ძალუძს; „სოციალურ სიტემათა სტრუქტურები მდგომარეობს მოლოდინებში. ისინი

მოლოდინთა სტრუქტურებია სოციალური სისტემებისათვის, რამდენადაც ისინი თავის ელემენტებს როგორც მოქმედება ცდომილებებს დროულ ხასიათს აძლევენ, ამდენად სტრუქტურების წარმოქმნისათვის სხვა შესაძლებლობები არ არსებობს.

ლუმანს მიაჩნია, რომ სოციალური სისტემის ასეთ განსაზღვრებას ძალუძს დაძლიოს ყველა დაბრკოლება სოციოლოგიაში სიტემური მიდგომის განვითარების გზაზე და ამით შექმნას სოციალური სამყაროს აღწერის ადეკვატური ინსტრუმენტი. მიუხედავად იმისა, რომ სისტემის საზღვრები მოძრავი (მკვეთრი- ნათელი) გახდნენ სისტემის ოპერატიული ჩაკეტილობისა და სისტემის მიერ თავისი საზღვრის კვლავწარმოების სურვილსა ძალით. ოპერატიული ჩაკეტილობა ჭრის აგრეთვე ემერჯენტული თვისებების პრობლემას, რამდენადაც სისტემური ოპერაციები მუდამ სისტემის შიგნით რჩებიან. ადამიანები არ არიან საზოგადოების (სისტემის) ნაწილები, ისინი მხოლოდ მისი გარემოს ნაწილები არიან, აქედან გამომდინარე კი საზოგადოება უკვე აღარ არის ორგანიზებული მოქმედება, ურთიერთქმედება და ა.შ. ინტერესების, მიზნების, რაციონალურობის პრობლემები უკვე აღარ არის სოციალური სისტემის პრობლემები. საზოგადოებათა ტერიტორიული საზღვრების ცნებაც ზედმეტი ხდება. სოციალური სისტემა- კომუნიკაციათა ერთობლიობაა, და ამიტომ სივრცობრივი საზღვრები ასახავენ სისტემის მხოლოდ შინაგან სტრუქტურირებას, მის შინაგან დიფერენციაციას, რომელიც მიმართულია თვით მისი და მისი გარემოს სირთულის გადალახვაზე. სუბიექტისა და ობიექტის პრობლემაც ადვილი გადასაწყვეტია, რადგან სისტემა ქმნის თავისი თავის აღწერას, და ყოველი კომუნიკაცია თვითაღწერას გულისხმობს.

ახალი ტერმინოლოგიური ენის შემოტანით, ნ. ლუმანი ცდილობს შექმნას საზოგადოების კონცეფცია, რომელიც მაქსიმალურად იქნება ასახული მის შესახებ არსებული წარმოდგენების თანამედროვე დონე. „ აუტოპოიეზის,, „ოპერატიული ჩაკეტილობის „სტრუქტურული შენაერთების „ცნებები მოწოდებულნი არიან დაანგრიონ „ ონტოლოგიური ცრურწმენები,, იმის თაობაზე, რომ სისტემები არსებობენ როგორც ობიექტები. ლუმანის აზრით, სისტემათა თეორიის საგანი არის „სისტემათა არა სპეციალური ობიექტური სფერო არამედ სამყაროს დამახასიათებელი-კუთვლილი სისტემის და გარემოს განსხვავება,, - ეს განსხვავება კი იწარმოება მისი ერთი მხარის- სისტემის მეშვეობით.

## ლუმანი და პარსონსი

ლუმანმა დაამუშავა სოციოლოგიური მიდგომა, რომელიც თავის საზრდოს, მნიშვნელოვანწილად, პარსონსის სტრუქტურული ფუნქციონალიზმისაგან იღებს. ლუმანი პარსონსის თეორიას მიიჩნევს ერთადერთ ზოგად თეორიად, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია ახალი სოციოლოგიური მიდგომების გაჩენა. ლუმანის ძირითადი შრომა “სოციალური სისტემები”, რომელიც 1984 წელს გამოვიდა, დიდადაა დავალებული პარსონსის ევოლუციური ფუნქციონალიზმისაგან. თუმცა, როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, ლუმანი პრინციპულად შორდება პარსონს რამდენიმე საკითხში:

- ა) პარსონსის თეორიაში არფერია ნათქვამი საზოგადოების, როგორც სისტემის, “თვითრეფერენციაზე”, (თვით აღწერაზე). არადა, ლუმანის აზრით, საზოგადოებას აქვს უნარი მიმართოს საკუთარ თავს. საზოგადოების ნებისმიერი თვით აღწერა ორ სივრცეს შემოხაზავს: ერთია ის, რაც არ არის საზოგადოება ( ანუ, ის, რაც “გარემოა”), ხოლო მეორეა

ის, რასაც ქმნის აღწერა საზოგადოების შიგნით. თვითრეფერენცია ნებისმიერ სისტემის მახასიათებელია. ლუმანი წერს: “თვითრეფერენცია ნიშნავს, რომ სისტემებს აქვს უნარი, განასხვავონ მათი საკუთარი ფუნქციონირება ყველა დანარჩენისაგან და რომ სისტემას ძალუძს გამოყოფა საკუთარი თავი გარემოსაგან”.

- ბ) პარსონსი არ აღიარებს შემთხვევითობას. ანუ, პარსონსი აღიარებს საზოგადოების არსებობის ერთ მოდელს და მისი სხვაგვარად ფუნქციონირების შესაძლებლობას გამორიცხავს. შესაბამისად, საზოგადოების სწორხაზოვანი ევოლუციური პროცესის იდეას აღიარებს. ლუმანის მიხედვით კი, ნებისმიერი სისტემა თვითორგანიზებადია: ის თავად განსაზღვრავს მისი ფუნქციონირების პირობებს. თვითორგანიზება გამორიცხავს დეტერმინიზმს. ნებისმიერი განსხვავება სისტემასა და გარემოს შორის გაგებულ უნდა იქნეს როგორც შესაძლებლობა (შემთხვევითობა), ანუ ის, რაც შესაძლებელია სხვანაირი ყოფილიყო.
- გ) თანამედროვე საზოგადოება, ლუმანის თანახმად, ფუნქციურად დიფერენცირებული სისტემაა, რომლის ქვესისტემებიც ერთმანეთის და, საერთოდ, მთელი სისტემის მიმართ ავტონომიურობას ინარჩუნებენ. პარსონსისაგან განსხვავებით, ლუმანი უარყოფს სისტემური მთლიანობის შესაძლებლობას. იგი არ უყურებს სოციალურ სისტემას როგორც ინტეგრირებულ ორგანიზმს, რომელიც ნორმატული ღირებულებებითაა “შეკრული”. ლუმანს აქცენტი ინტეგრაციიდან დიფერენციაციაზე გადააქვს. იგი ამტკიცებს, რომ ყოველი სისტემა (ან სუბსისტემა) თვითკმარი და თვითქმნადია. ლუმანი წერს:

“ამრიგად, არ არსებობს არავითარი ნორმატული ინტეგრაცია ინდივიდებისა საზოგადოებაში. სხვა სიტყვებით, არ არსებობს არავითარი ნორმები, რომელთაგან ვინმეს შეუძლია გადაიხაროს, თუ ამის სურვილი ექნა... არსებობს მხოლოდ ეკვივალენტური დაკვირვებადი სქემა, რომელშიც დამკვირვებელი თვით განსაზღვრავს იმაზე დაკვირვებას, ქცევა ეთანხმება თუ შორდება ნორმას. და ეს დამკვირვებელი, აგრეთვე, შეიძლება იყოს კომუნიკაციური სისტემა – სასამართლო, მასმედია ა.შ თუ ჩვენ გვინდა ვიკითხოთ, თუ რა არის სინამდვილეში ნორმების ან კონსენსუსის საფუძველი, მაშინ ჩვენ უნდა დავაკვირდეთ დამკვირვებელს. და თუ ჩვენ დმერთს აღარ მივიჩნევთ სამყაროს დამკვირვებლად, მაშინ არსებობს სხვადასხვა შესაძლებლობები”.

### საზოგადოება როგორც “აუტოპოეზისური” სისტემა

ლუმანის აზრით, არსებობს საზოგადოების ცნებასთან დაკავშირებული სამი ეპისტემოლოგიური წინააღობა, რომელსაც ტრადიციული სოციალური თეორია ქმნის:

1. პირველი წინააღობა ეხება მოსაზრებას, რომ საზოგადოება შედგება ადამიანებისაგან, ან ადამიანებს შორის ურთიერთობისაგან. ლუმანი ამას “ჰუმანისტურ გაუგებრობას” უწოდებს. თუ საზოგადოება ადამიანებისაგან შედგება, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ “პარიკმახერი საზოგადოებას ჭრის თმას?” ან რომ საზოგადოებას “ზოგჯერ ინსულინი სჭირდება?”
2. მეორე შეცდომა მდგომარეობს იმის აღიარებაში, რომ არსებობს ტერიტორიულად მრავალგვარი საზოგადოებები (მაგალითად, ჩინეთის, ბრაზილიის, პარაგვაის და ა.შ. საზოგადოებები). რასაკვირველია,

არსებობს განსხვავებები სხვადასხვა ტერიტორიების საცხოვრებელ პირობებს შორის, მაგრამ ეს განსხვავებები უნდა აიხსნას როგორც საზოგადოების შიგნით და არა საზოგადოებებს შორის არსებული განსხვავებები. თუ აქცენტს ტერიტორიულ განსხვავებებზე გააკეთებთ, მაშინ სოციოლოგია გეოგრაფიას “დაუთმობს” თავისი ცენტრალური პრობლემის გადაჭრას.

3. მესამე შეცდომა ეხება განსხვავებას სუბიექტს და ობიექტს (აზროვნებასა და ყოფიერებას, კოგნიციასა და საგანს) შორის. კოგნიცია, როგორც ასეთი, გამოცალკავებული იყო მისი ობიექტისაგან. ამ დაყოფის თანახმად, მხოლოდ სუბიექტს გააჩნია თვითრეფერენციის პრივილეგია, ხოლო საგნები რჩებიან ისეთი, როგორიც არიან.

საზოგადოების შესახებ თეორიები საზოგადოებაში არსებული თეორიებია. ამის გარეშე არ არსებობს საზოგადოების ადეკვატური ცნება. სხვა სიტყვებით, საზოგადოების ცნება უნდა ფორმირდეს აუტოლოგიკურად. ის უნდა შეიცავდეს საკუთარ თავს საკუთარ თავში.

ლუმანი მოითხოვს, რომ სისტემა განვიხილოთ სპეციფიკური განსხვავების კონტექსტში. ესაა განსხვავება სისტემასა და გარემოს შორის. ლუმანი წერს:

“სისტემა ესაა განსხვავების ფორმა, რომელსაც, შესაბამისად, ორი მხარე გააჩნია: სისტემა (როგორც ფორმის შიდა მხარე) და გარემო (როგორც ფორმის გარეთა მხარე). მხოლოდ ეს ორი მხარე ერთად ქმნის განსხვავებას, ქმნის ცნებას. ამრიგად, გარემო ამ ფორმისთვის ისეთივე მნიშვნელოვანია და აუცილებელი, როგორც თავად სისტემა... ყველაფერი, რასაც შეიძლება დავაკვირდეთ და აღვწეროთ ამ განსხვავებასთან მიმართებაში, მიეკუთვნება ამ სისტემას, ან გარემოს”.

ლუმანი თავად სვამს კითხვას: როგორ იქნება ფორმა, ანუ განსხვავება სისტემასა და გარემოს შორის? ლუმანის პასუხი ამ კითხვაზე ასეთია: სისტემა თვითქმნაღია, ანუ თავად ქმნის განსხვავებას მასსა და გარემოს შორის. სწორედ ამას აღნიშნავს სისტემის “აუტოპოეზისურობა”. ლუმანი მოითხოვს, რომ “აუტოპოეზისის” ცნება განვასხვავოთ “აუტოპრაქსისის” ცნებისაგან. ეს უკანასკნელი თვითდაკმაყოფილებაზე მიმართულ საქმიანობებს უკავშირდება, როგორცაა, მაგალითად, თამბაქოს მოწევა, ცურვა, ჭორაობა, მსჯელობა. აუტოპოეზისი, ამისაგან განსხვავებით, კავშირშია იმასთან, რასაც ლუმანი “სისტემის ოპერაციულ დახურულობას” უწოდებს. საზოგადოების ერთ-ერთი ლუმანისეული განსაზღვრება სწორედ ამას გულისხმობს: “საზოგადოება ოპერაციულად დახურული აუტოპოეზისური სისტემაა”. ეს არ ნიშნავს სისტემის იზოლაციურობას, ავტარქიას. ლუმანის აზრით, ის იმ ტრივიალურ ვითარებას გამოხატავს, რომ “არცერთ სისტემას არ შეუძლია ოპერირება მის საზღვრებს გარეთ”.

მართალია, ლუმანი საუბრობს საზოგადოების ცნებაზე, მაგრამ სისტემების ოპერაციული ჩაკეტილობის მიზეზით, საზოგადოება, როგორც ასეთი, არც არსებობს. ის, რაც არსებობს, არის მხოლოდ სოციალურ სისტემებს შორის კომუნიკაცია. საზოგადოების ცნება ლუმანთან მხოლოდ სახელია სოციალურ სისტემათა ერთობლიობის აღსაღნიშნავად. ლუმანი ამტკიცებს, რომ თანამედროვე საზოგადოებას არა აქვს ცენტრი არ არსებობს ერთი ერთი ცენტრალური სუბსისტემა, როგორცაა, მაგალითად, სახელმწიფო ან სამოქალაქო საზოგადოება. თანამედროვე საზოგადოებებს ახასიათებს კომპლექსურობა, რაც ფუნქციონალური დიფერენციაციის შედეგია. დიფერენციაციის და არა ინტეგრაციის საშუალებით ხდება საზოგადოების ფუნქციონირება. სოციალური ცვლილებები შესაძლებელია სწორედ ფუნქციონალური განსხვავებების წყალობით. სწორედ ამიტომ, ლუმანის

მიხედვით, საზოგადოება უკვე აღარ შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც მთლიანი. შეუძლებელია ლაპარაკი სისტემურ ინტეგრაციაზე. აუტოპოეზიის ცნება უკავშირდება ნებისმიერ სისტემას – ეკონომიკას, პოლიტიკურ სისტემას, საკანონმდებლო სისტემას, სამეცნიერო სისტემას, ბიუროკრატიას და ა.შ.

აუტოპოეზიის სისტემები, როგორც ითქვა, ადგენენ თავის საკუთარ საზღვრებს იმით, რომ ატარებენ განსხვავებას იმას, რაც თავად სისტემას მიეკუთვნება და გარემოს შორის. კარგად წერს რიტცერი: “აუტოპოეზიის სისტემები თვითორგანიზებადია ორი აზრით: ისინი ახდენენ, ერთი მხრივ, თავისი საკუთარი საზღვრების და, მეორე მხრივ, თავისი შინაგანი სტრუქტურის ორგანიზებას... მაგალითად, ეკონომიკური სისტემა ყველაფერს, რაც იშვიათია და რასაც შეიძლება ფასი დაედოს, თვლის ეკონომიკური სისტემის ნაწილად. ჰაერი ყველგან ურიცხვი რაოდენობით არსებობს, ამიტომაც მას ფასს არ ადებენ და ის არ წარმოადგენს ეკონომიკური სისტემის ნაწილს. თუმცა, ჰაერი გარემოს აუცილებელი ნაწილია.”

ოპერაციულად დახურული სისტემა საკუთარი თავიდან გამორიცხავს ადამიანებს, როგორც ცოცხალ და ცნობიერ არსებებს, ისევე როგორც – განსხვავებულ ქვეყნებს, თავისი გეოგრაფიული და დემოგრაფიული თავისებურებებით. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანები და ქვეყნები “უჩინარდება” სისტემების თეორიისათვის. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ისინი არა საზოგადოების (სისტემის), არამედ მისი გარემოს ნაწილებია. ლუმანისათვის მხოლოდ სისტემები და არა სოციალური აქტორებია ჩართული კომუნიკაციაში. ლუმანი მოითხოვს, რომ სუბიექტის ფილოსოფიამ ადგილი დაუთმოს თვითაღმწერი სისტემების თეორიას. იგი წერს:

“თუ ძალზე მკაცრი ფორმით ჩამოვაყალიბებთ, ინდივიდის “მონაწილეობა” საზოგადოებაში გამორიცხულია. არ არსებობს არავითარი კომუნიკაცია ინდივიდსა და საზოგადოებას შორის, რამდენადაც კომუნიკაცია ყოველთვის არის სოციალური სისტემის შინაგანი ოპერაცია. საზოგადოებას არასოდეს შეუძლია გავიდეს საკუთარი თავის გარეთ თავისი საკუთარი პროცედურებით და მოიცავს ინდივიდი. მას შეუძლია მხოლოდ მისი საკუთარი პროცედურების კვლავწარმოება მისივე საკუთარი პროცედურებით. საზოგადოებას არ შეუძლია ოპერირება მისი საკუთარი საზღვრების გარეთ”.

მაშასადამე, “განსხვავების” ცნება ცენტრალურია ლუმანის თეორიაში. ბაზისური კოდები, რომელთა საშუალებითაც ინფორმაცია მუშავდება, ბინარულია და ქმნის განსხვავებას “შიდას” და “გარეს” შორის”. ლუმანის არგუმენტი ისაა, რომ განსხვავება შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ მოცემული სისტემის შიგნით. არ არსებობს აბსოლუტური და დამოუკიდებელი ათვლის წერტილი, საიდანაც საზოგადოება თავის თავს დააკვირდება ან რეპრეზენტაციას მოახდენს (როგორცაა, მაგალითად, ღმერთი, სახელმწიფო ან იმპერატორი).

აუტოპოეზიის სისტემასა და მის საბაზო ელემენტებს შორის არსებობს ურთიერთდამოკიდებულება და ურთიერთგანპირობებულობა. მაგალითად, პოლიტიკური სისტემის (რომელიც ერთ-ერთია სხვა სისტემათა შორის) საბაზო ელემენტი ძალაუფლებაა. ძალაუფლების მნიშვნელობა და მისი გამოყენების ხერხები განისაზღვრება თავად პოლიტიკური სისტემის მიერ. მეორე მხრივ, პოლიტიკური სისტემა ძალაუფლების გარეშე კვაზისისტემაა. მსგავსადა ამისა, ეკონომიკური სისტემის საბაზო ელემენტი ფულია, რომელიც ამ სისტემის გაჩენამდე არ არსებობდა. ფულის თანამედროვე ფორმა და ეკონომიკური სისტემა ერთად წარმოიშვა და ერთმანეთზეა დამოკიდებული. “შეუძლებელია წარმოვიდგინოთ თანამედროვე ეკონომიკური სისტემა ფულის გარეშე. თავის მხრივ, ფული ეკონომიკური სისტემის გარეშე მხოლოდ ქაღალდის ან ლითონის ნაჭერია და სხვა არაფერი”.

ყველა გარეგანი პოზიცია, საიდანაც დაკვირვება შეიძლება იწარმოებოდეს, უჩინარდება. ამის ნაცვლად ლუდანი ამტკიცებს, რომ ყველა დაკვირვებამ უნდა მიიღოს “თვითდაკვირვების” ან “თვითაღწერის” ფორმა. “ოპერაციონალურად ჩაკეტილი” სისტემები არ მოითხოვენ “გარედან” მნიშვნელობის (“საზრისის”) მინიჭებას იმისათვის, რათა იფუნქციონირონ. სუბსისტემებმა უნდა მოახდინონ თვითდაკვირვება, რათა განასხვავონ საკუთარი თავი მათი გარემოსგან, ე.ი. სხვა სუბსისტემებისაგან. ამ აზრით, სუბიექტი როგორც ნარატორი ჩანაცვლებულია სუბიექტი-დამკვირვებლით. დაკვირვებას როგორც თვითდაკვირვებას და თვითაღწერას ლუდანი “მეორე რიგის დაკვირვებას” უწოდებს. ლუდანის იდეა მეორე რიგის დაკვირვებების შესახებ, შეიძლება დავინახოთ საზოგადოების ბევრ სფეროში. მაგალითად, საზოგადოებრივი აზრი პოლიტიკაში ფუნქციონირებს როგორც განსხვავებული ჯგუფების “სარკე”. ხელფონებში მეორე რიგის დაკვირვებები ცვლის პირველი რიგის დაკვირვებებს, რამდენადაც ხელფონება აღარ ახდენს იმის რეპრეზენტაციას რაც მის გარეთაა და უპირატესად თვითრეფერენციული ხდება. მეცნიერებაში მეთოდოლოგიის საკითხები ხდება ყველაზე მნიშვნელოვანი და ა.შ.

### 2.3. კომუნიკაცია

ლუდანის სისტემების თეორიისათვის ცენტრალურია კომუნიკაციის ცნება. ლუდანს მნიშვნელოვნად მიაჩნია საკითხი: რომელია ის ოპერაცია, რომელიც ქმნის სისტემას და ქმნის მას მისი პროდუქტებისაგან, ანუ კვლავქმნის სისტემას? ლუდანი ამ კითხვაზე პასუხის საფუძვლად იღებს კომუნიკაციის ცნებას. თუმცა, ლუდანთან კომუნიკაცია ისეთი პირობაა, რომელსაც კავშირი აქვს გაწყვეტილი სოციალურ მოქმედებასთან. სწორედ კომუნიკაციის ცნებამ უნდა “გადართოს” სოციოლოგიური თეორია მოქმედების თეორიიდან სისტემის თეორიაზე. საქმე ისაა, რომ მოქმედების ცნების შემთხვევაში ჩვენ თავიდან ვერ ავიცილებთ გარეგან მიმართვებს ისეთი სოციალური ფენომენებისადმი, როგორიცაა: მოქმედების საგანი, ინდივიდი, ადგილი სივრცეში. სოციალური სისტემა (როგორც ოპერაციულად დახურული სისტემა) შედგება მხოლოდ მისი საკუთარი ოპერაციებისაგან, რომლებიც კვლავიქმნება კომუნიკაციების საშუალებით ისევ კომუნიკაციებისაგან. მხოლოდ კომუნიკაციის ცნების დახმარებით შეგვიძლია ვიფიქროთ სოციალურ სისტემაზე როგორც აუტოპოეზისურ სისტემაზე. სისტემა შედგება კომუნიკაციებისაგან, რომლებიც ახდენენ სისტემის წარმოებას და კვლავწარმოებას ისევ კომუნიკაციის ქსელის საშუალებით. ლუდანი წერს:

“საზოგადოება არის სრული სიტემა ყველა კომუნიკაციისა, რომლებიც კვლავქმნიან თავიანთ თავს აუტოპოეტიკურად კომუნიკაციითა განახლებადი ქსელის საშუალებით, რომელიცქმნის ახალ (და ყოველთვის სხვა) კომუნიკაციებს... ამრიგად, ასეთი სისტემის კვლავწარმოება მოითხოვს იმის კომპენტენციას, რომ მოახდინოს განსხვავება სისტემასა და გარემოს შორის. კომუნიკაციებს შეუძლიათ მოახდინონ კომუნიკაციების იდენტიფიკაცია და მათი განსხვავება სხვა მოვლენებისაგან, რაც მიეკუთვნება გარემოს იმ აზრით, რომ ვინმეს ნამდვილად შეუძლია მათ შესახებ და არა მათთან კომუნიკაცია”.

თუ კომუნიკაცია სისტემის შიდა სტრუქტურას ეხება, მაშინ კონკრეტული ადამიანები არა სისტემის, არამედ მისი გარემოს ნაწილებია. ლუდანის აზრით, თითქმის არავითარი აზრი არა აქვს იმის თქმას, რომ “საზოგადოება შედგება ადამიანთა შორის ურთიერთობებისაგან”. კომუნიკაციის ქვეშ, ლუდანის აზრით, გაცილებით სპეციფიკური სქემა იგულისხმება – ესაა განსხვავების დაფიქსირება ინფორმაციას, კომუნიკაციის აქტსა და გაგებას შორის. კომუნიკაცია ამ სამი

ასპექტის სინთეზია. მათ შორის განსხვავების დაკვირვების გარეშე არც ერთი კომუნიკაცია არ შედგება. არ არის, მაგალითად, საკმარისი, რომ ვინმე უყურებს ან უსმენს სხვას, აუცილებელია საკუთარ ქცევაზე დაკვირვება იმ განსხვავების დახმარებით, რომელიც არსებობს ინფორმაციასა და კომუნიკაციის აქტს შორის. მხოლოდ კომუნიკაცია თავისთავად წარმოადგენს სოციალურ ოპერაციას.

კომუნიკაციის ცნება ნათელს ხდის, რომ საზოგადოება არის თვითაღმწერი და თვითდაკვირვებადი სისტემა. თუნდაც უმარტივესი კომუნიკაცია შესაძლებელია მხოლოდ ადრეული და შემდგომი კომუნიკაციების განახლებად ქსელში. ასეთ ქსელს შეუძლია გახდეს საკუთარი თავის საგანი, შეუძლია მოახდინოს საკუთარი თავის ინფორმირება მისივე კომუნიკაციების შესახებ, შეუძლია ეჭვი შეიტანოს ინფორმაციაში, უარყოს იგი და ა.შ. ყველა კომუნიკაცია საზოგადოებასთან მიაერთებაში პირობადადებულია საზოგადოების მიერ. არ არსებობს გარეშე დამკვირვებელი, რომელიც რაიმე, თუნდაც რამდენიმე ადეკვატურ კომპენტაციას ფლობს.

ნებისმიერი კომუნიკაცია ხორციელდება კოდების საშუალებით. კოდი ესაა სისტემების ფუნქციონირების ძირითადი “ენა”, რომელიც ახდენს სისტემის ელემენტების გამოცალკავებას იმ ელემენტებისაგან, რომლებიც სისტემას არ ეკუთვნის. მაგალითად, მეცნიერების სისტემის ძირითადი კოდი ჭეშმარიტებაა, სამართლის სისტემის კოდი – გადახდა და ა.შ. ლუმანის მიხედვით, სისტემები თავიანთი კოდებით ავტონომიური და ჩაკეტილია: არც ერთი სისტემა არ იყენებს სხვა სისტემის კოდებს. მეტიც: სისტემებისათვის გაუგებარია ერთმანეთის კოდები. არ არსებობს მექანიზმი, რომელიც ერთი რომელიმე სისტემის კოდს გადაიტანს სხვა სისტემის კოდურ რეჟიმში. მოცემულ სისტემას სხვა სისტემის შეფასება ან მისადმი მიმართვა შეუძლია მხოლოდ საკუთარი “სათვალეებით. მაგალითად, ეკონომიკის სისტემას მეცნიერების სისტემის “დანახვა” შეუძლია მხოლოდ მოგების ან კაპიტალდაბანდების განახსენებით.

როგორც ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს, ლუმანის სოციალური თეორია ახლოა პოსტმოდერნიზმთან, რამდენადაც ის ცენტრალურ მნიშვნელობას ანიჭებს “განსხვავებას”. საზოგადოება აღარ არის რაღაც, რაც ინტეგრირებულია კერძო აქტორების ან სოციალური ინსტიტუტების ძალაუფლების მიერ. ის კომუნიკაციების განსხვავებული პროცესების სისტემაა.

აქ ზოგადად განხილული სოციალური თეორიის ინტეგრაციის სამი მცდელობა, საზოგადოდ ახასიათებს სოციოლოგიური თეორიის დღევანდელ მდგომარეობას. მიზნების ერთიანობა ბურდიეს, გიდენსის, და ლუმანის შეხედულებებში მათი მიღწევის საშუალებებს შორის უთანხმოებასთან თანაარსებობს. მართალია მრავალი მსჯელობა ადვილად შეიძლება ითარგმნოს მეორის ტერმინოლოგიურ ენაზე, მიუხედავად ამისა სოციოლოგიის მრავალი საკვანძო საკითხის, მათ შორის ინსტიტუტონალიზაციის, სტრუქტურის და მოქმედების ურთიერთობის პრობლემის მათეული გადაწყვეტა – საკმარისზე მეტად განსხვავებულნი არიან. აგრეთვე ძალიან ბევრი რამით არის ერთმანეთისაგან განსხვავებული ამ ძირითადი ცნებების გაგებაც.

პ. ბურდიე ამოდის გენეტიკური სტრუქტურალიზმისაგან და მისი ჰაბიტუსი იმის ჩვენებაზეა მიმართული თუ როგორ განსაზღვრავს სტრუქტურა ადამიანთა ქცევებს. ე. გიდენსი ქმნის მოქმედების სუბიექტის რთულ კონცეფციას, წყვეტს რა დანარჩენ პრობლემებს ფაქტობრივად სტრუქტურული ფუნქციონალიზმის სულისკვეთით. ნ. ლუმანის კონცეფცია წარმოადგენს ძველი ბიოლოგიურ-



ორგანიზტულ ანალოგიების ხელახლა აღდგენას, რომელიც გაფორმებულია სისტემის თეორიისა და ინფორმაციის თეორიის უახლესი მიღწევებით. თეორიული განხეთქილება ძველებურად რჩება, თეორიული მოდელებიდან სამივეს აქვს საზრისი თითოეული მათგანი ზოგიერთ ასპექტს უკეთესად ხსნის, ვიდრე დანარჩენები. ამავე დროს ნათელია, რომ სოციოლოგიაში ჯერ კიდევ არ შექმნილა იმდენად უზადო წყობისა და იმდენად ღრმად მომცველი მოდელი, როელიც შეძლებდა გამხდარიყო საზოგადების შესახებ ყოვლისმომცველი მეცნიერების საფუძველი. სოციოლოგიას ჯერ კიდევ არ მიუღწევია განვითარების ამ სტადიისათვის.